საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი 20 აგვისტო 1920 წ.

# ერთობა

ფასი 10 მანეთი

განცხადების ფასი: 250 მანეთი. ცალკე ნომერი ღირს 10 მანეთი. [illegible] 15 მანეთი. [illegible] 10 მანეთი. [illegible] (15×2) 300 მანეთი [illegible]
ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 188 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 188

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის
## ცენტრალური კომიტეტი
გადასულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართულზე.
შესასვლელი რუსთაველის პროსპ. № 18, ტელ. 11—79

[illegible] **სახიდო რუსთომის ძის ვაჩაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 21 აგვისტოს დილით [illegible] (2704 2—1)

[illegible] **სახიდო რუსთომის ძის ვაჩაძის** გარდაცვალებას. [illegible] (2700 1—1)

[illegible] **ილია (გიგიკო) ივანეს ძე ღუნვა** [illegible] (2698 1—1)

[illegible] **ნიკოლოზ აბელის ძე მახაშვილის** [illegible] (2708—1—1)

[illegible] **ნიკოლოზ აბელის ძე მახაშვილის** [illegible] (2708—1—1)

ახალციხის სამაზრო ერობის
## ხმოსანთა ყრილობა
[illegible] 28 აგვისტოს [illegible] ერობის გამგეობა. (2269—3—3)

მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ
## მებოსტნეობის პრაქტიკული სკოლა
[illegible] (6. 12—4)

პირველი კლასის ბაღი-რესტორანი
## „ზახმარო"
[illegible] (2673 3—2)

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა
## [illegible]
[illegible] გამგეობა. (6. 1—1)

ახალციხის ერობისათვის
## საჭიროა მომრიგებელ-მოსამართლე
თხოვნები მიიღება: ახალციხე ერობას. ერობის გამგეობა. (2269—3—3)

## თფილისის მაზრის ერობის გამგეობა
ამით აცხადებს, რომ მაზრის ნაფიც მსაჯულთა სიები შედგენილია. სიების დათვალიერება და განცხადებების შემოტანა შეიძლება ერობის მდივანთან ორი კვირის განმავლობაში დღიდან გამოცხადებისა 16 აგვისტოდან დილის 9 საათიდან 1 საათამდე. (2707—1—1)

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი
## მ. ი. ვოლოხი
და განაახლა მიღება ქალ. შინაგ. და ვენერ. ავათმყოფებისა. მიღება დილის 10—12 საათ. და საღ. 4—7-დის, ფრანგების მოედანი № 33. (2614—თ.)

## საბიუჯეტო რეზოლუციის გამო

დამფუძნებელი კრების გასული სესიის ერთი უმთავრესი სამუშევარი იყო ბიუჯეტის განხილვა.

მართალია ბიუჯეტი მიიღეს მას შემდეგ, რაც იგი უკვე დახარჯულია.

მაგრამ ბიუჯეტის განხილვა მარტო ციფრების ანგარიში არაა. იგი პირიქით, ციფრების ასულდგმულებაა, ე. ი. მას უკან დაფარული ეკონომიური პოლიტიკის გარჩევა, და მთელი კამათიც სწორეთ ამ უკანასკნელის საგანის გარშემო დატრიალებდა. შედეგი ამ კამათის გამოიხატა დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს რეზოლუცია შეიცავდეს უკვე წარმოებულ ეკონომიურ საქმიანობის მხოლოდ მოწონებას და დადასტურებას. ეს არც იქნებოდა ამ შემთხვევაში მიზან-შეწონილი. ახალ სახელმწიფოს ახალ ხელმძღვანელთ, რომელთაც სულ ახალი გზების გაკაფვა სჭირდება სახელმწიფოებრივ შემოქმედების ყოველ სფეროში, არც შეეძლოთ ასეთი ნიმუში მოეცათ საუკეთესო მუშაობისა ყოველ დარგში.

თუ პოლიტიკაში კიდევ შეიძლებოდა ძველი გამოცდილებით და ერთგვარათ გავლილი შკოლით სარგებლობა, ეს არ ითქმის ეკონომიურ სფეროზე. ამასთანავე ამ უკანასკნელის მოწესრიგების საქმე სხვა მხრივაც მეტათ ცუდ პირობებში იყო ჩაყენებული, ომის და რევოლიუციის გამო.

ცხადია, სახელმწიფო მართველობას აქ უდიდესი ენერგია უნდა გამოეჩინა და არც გასაკვირველი იქნებოდა თუ იგი არა ერთხელ და ორხელ წაიბორძიკებდა ეკონომიურ შემოქმედების დროს.

მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ბოლოს და ბოლოს სახელმწიფომ შესძლო საბოლოოთ გარკვეული, მიზანშეწონილი ხაზის შემუშავება, შესძლო ნაწილობრივათ კიდეც მისი ცხოვრებაში გატარება.

ეს გარკვეული ხაზია საზოგადოებრივი მეურნეობის უპირატესობის აღიარება და ამ მეურნეობისთვის ყოველ მხრივათ ხელის შეწყობა.

კერძო ინიციატივა ან სპეკულიაციის მორევში ქანაობს, რადგან აქ სწრაფ და იოლ მოგებას პოულობს, ან განზე დგება და სიფრთხილით იცქირება აქეთ იქით, ბალშევიკები ან მობალშევიკო ელემენტები ხომ არ მომდევენო. ასეთ პირობებში მისგან დიდ შედეგებს არც უნდა მოველოდეთ.

მეორე მხრივ ახლად აღორძინებული ერობები და ქალაქის თვითმართველობანი თანდათან წელში მაგრდებიან და ადმინისტრატიულ მუშაობის გვერდით ენერგიულათ ეწევიან ეკონომიურ საქმიანობას. ქმნიან ახალ წარმოებას, აარსებენ ახალ სახელოსნოებს, ქარხნებს და ყოველი ღონისძიებით ცდილობენ საქონლის შიმშილი შეუმსუბუქონ მცხოვრებთ.

ამრიგათ წარმოიშვა ახალი, უშიშარი, მხნე აგენტი ეკონომიურ საქმიანობის.

საზოგადოებრივი ეკონომიკა თანდათან დიდ თანაგრძნობას პოულობს დემოკრატიის ფართე წრეებში და ასე ღრმა ფესვებს იდგამს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

წარსულმა კამათმა ბიუჯეტის გარშემო საესებით ნათელ ყო ეს უმთავრესი ძარღვი ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის.

აქედან დაიბადა ახალი პრობლემები: ერთია პრობლემა სახელმწიფოს ეკონომიურ მუშაობისათვის სპეციალურ ხელმძღვანელ ორგანოს შექმნისა, რომ პოლიტიკურ კაბინეტს ან მის ამა თუ იმ წევრს არ აწვებოდეს ერთიანათ ეს რთული პასუხსაგები საქმე, რომელიც სრულიად განსაკუთრებული ხასიათისაა და თან სრულიად ახალია სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში. ეს ცენტრი იმავე დროს უნდა იყოს გამაერთიანებელი სახელმწიფოს ყველა შემადგენელ ელემენტების ეკონომიურ მოღვაწეობისა. ქალაქის, ერობის, სახელმწიფო მამულების, რომელნიც მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია, სასურსათო ოპერაციების, სავალიუტო საქონლის გატანა გასაღების და სხვ. ერთი სიტყვით ახალ კოლექტიურ მეურნეობას, რომელიც მიზნათ აქვს დასახული ჩვენს დემოკრატიის. მან უნდა მისცეს სათანადო და მიზანშეწონილი მიმართულება, შეათანხმოს იგი და ამით თავიდან აიცილოს ის ანარქიული ხასიათი, რომელიც თანდაყოლილი აქვს ყოველ კერძო წარმოების სისტემაზე დამყარებულ მეურნეობას.

მეორე პრობლემაა—ხელის შეწყობა თვითმართველობათა მეურნეობის აღორძინებისათვის. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ რომ ამ მეურნეობას კარგი პირი უჩანს. მაგრამ ერობები საბიუჯეტო უფლების მქონებელი არიან და ეკონომიური უსახსრობა შეიძლება საბედისწერო გახდეს მათი ახალდაწყებული თაოსნობისათვის. აი აქ საჭიროა სახელმწიფოს ენერგიული დახმარება, კრედიტის გახსნით, სესხის მიცემით.

მაგრამ ამას უნდა თან ახლდეს იმ მეურნეობის შესწავლა, რომლის გასავითარებლად სესხი ეძლევა. ამ რიგათ უნდა განმტკიცდეს და გაძლიერდეს ადგილობრივად კომუნათა საქმიანობა, ჩაეყაროს მტკიცე საძირკველი ჩვენი დემოკრატიული წყობილების და ასე, სახელმწიფოს ეკონომიურ გაჯანსაღებას ნამდვილი, მკვიდრი ნიადაგი მიეცეს.

უნდა ერთხელ და სამუდამო აღვიბეჭდოთ გონებაში, რომ ჩვენი რესპუბლიკა იარსებებს, როგორც დემოკრატიული თავის წყობილებით და სოციალისტური თავის ეკონომიური პოლიტიკით, ან სრულიად ვერ იარსებებს.

ამიტომ ყველა ძალების კოორდინაცია ამ ნიადაგზე ერთი მიუცილებელი მოთხოვნილებათაგანია მიმდინარე მომენტის.

## მუშათა დელეგაცია ევროპაში.

პროფესიონალურ კავშირების ცენტრს გადაუწყვეტია გაგზავნოს მუშების დელეგაცია ევროპაში. დამფუძნებელმა კრებამ მათ განკარგულებაში გადასდო შესაფერი თანხა. დღევანდელ პირობებში ამ დელეგაციის გაგზავნას ევროპაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. არამც თუ საქართველოს მუშების პროფესიონალური კავშირი, რომელთაც დღემდის არა აქვთ აღდგენილი მუდმივი ორგანიზაციული დამოკიდებულება მათ თანამოძმე ევროპის მუშებთან, არამედ უფრო მოწინავე და ცნობილი ქვეყნების ორგანიზაციები გზავნიან სხვა და სხვა ქვეყნებში საქმიან დელეგაციას მტკიცე არსებულ კავშირის განსამტკიცებლად და ერთმანეთის დაახლოვებით გასაცნობად. დღეს, როგორც ვიცით, სოციალისტური ინტერნაციონალი სამ ნაწილად არის გაყოფილი. მაშასადამე პოლიტიკურად საერთაშორისო მუშათა მოძრაობა გათიშულია და სხვა და სხვა მიმართულებათა შორის შეუბრალებელი იდეიური ბრძოლა სწარმოებს. რაც შეეხება პროფესიონალურ ორგანიზაციებს, ისინი ამ შემთხვევაში უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან. ევროპაში არსებობს მთლიანი პროფესიონალური ინტერნაციონალი, რომელსაც ჰყავს თავისი ხელმძღვანელი ცენტრი და რომელიც აერთებს პოლიტიკურად მოწინააღმდეგე პროგრამის მატარებელ მუშებს რაზმს. ამ რამოდენიმე ხნის წინად ამ ცენტრმა მოახდინა უდიდესი საერთაშორისო გამოსვლა უნგრეთის ბოიკოტის სახით. ის აერთებს დაახლოვებით ოცდახუთ მილიონამდის მუშებს. დადგა დრო, როდესაც საერთაშორისო პროფესიონალურად შეკავშირებულ ლაშქარს შეუერთდეს მისი ბუნებრივი ნაწილი—საქართველოს შეკავშირებული მუშები.

მეორე მხრივ ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს დემოკრატიის მოწინააღმდეგეები დიდ მუშაობას ეწევიან ევროპის დემოკრატიულ წრეებში, რო დასჩრდილონ ის დიადი ბრძოლა, რომელიც აწარმოვა საქართველოს მუშათა კლასმა ამ რევოლიუციის დროს. მუშების დელეგაციას საშუალება მიეცემა ევროპის თავის მოძმეებს ფართოდ გააცნოს ჩვენი ქვეყნის საერთო მდგომარეობა და ჩვენი მუშათა კლასის შემოქმედებითი უნარი.

ჩვენ ეჭვი არ შეგვდის იმაში, რომ ამ დელეგაციას ძმურად შეხვდება ევროპის შეკავშირებული პროლეტარიატი და მოინდომებს ადგილობრივ გაეცნოს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას. ამ ნაირად ორგანიზაციულ კავშირს თან მოჰყვება სულიერი და პირადი დაახლოვება.

ამასთან ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზედაც, რომ ევროპაში მიემგზავრებოდეს არა მარტო ჩვენი ახალგაზრდა ინტელიგენცია, არამედ მუშების ჯგუფებიც სათანადო ცოდნის და გამოცდილების მისაღებად. ეს ნორმალურ პირობებში შედარებით ადვილი საქმე იქნება, რადგანაც ჩვენი მუშები საზღვარ გარეთ იშოვნიან სამუშაოს, რომელიც დაფარავს მათი ხარჯის ნაწილს. დელეგაცია მოამზადებს ამ მეტად სასარგებლო საქმისთვის ნიადაგს, შეკრებს ცნობებს და ამნაირად ჩვენს ცოდნის მოყვარულ მუშებს გზას გაუხსნის ევროპისკენ.

ბ. თეკლათელი.

## პრესის მაგიერი

„ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო" სწორედ ასე იქცევა „კომუნისტი". მათმა თანამოაზრეებმა და სათაყვანებელმა წითლებმა რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეზე არც ერთი სოფელი არ დასტოვეს დაუნგრეველი და აუწიოკებელი. მარა ეს ხდებოდა რასაკვირველია დიდი რევოლიუციური ლოზუნგების სახელით, ეს ხდებოდა პროლეტარიატის სანაქებოთ, ეს იწერებოდა კომუნისტთა ლიტერატურაში როგორც უდიდესი რევოლიუციური ნამოქმედარი. მაგრამ აი საქართველოს დემოკრატია თვითონ იცილებს მესამეჯერ მის წინააღმდეგ აჯანყებულ ოსებს. რომელნიც რუსეთის შემოყვანას ცდილობდნენ ჩვენში. ესე იგი კონტრ-რევოლიუციურ და მოღალატურ საქმეს სჩადიოდნენ. მათ ჩვენი რესპუბლიკა იქით გზავნის, საითაც ისინი მიისწრაფოდენ, რუსეთის სოციალისტური სამოთხისაკენ. განა შეიძლებოდა სანაპიროებში დატოვება მუდამ მშფოთარე ელემენტის, რომელიც ქმნის ომის მუდმივ საბაბს ჩვენსა და რუსეთს შორის? და განა მთელი ერის ბედი უნდა მსხვერპლათ შესწიროდა ამ ერთ მუჭა ნასტრაჟნიკალებს „რომელნიც ახლა გაზ. „კომუნისტმა" კომუნისტურ პროლეტარიატათ მონათლა?

ჩვენ მეტად მძიმე მდგომარეობათ მიგვაჩნია ამ ოსების მდგომარეობა, რომელნიც აჯანყებაში იღებდენ მონაწილეობას, მაგრამ ბრალი მათ უბედურებაში ედება იმ ჩრდილოელ მოღვაწეებს, რომლებმაც ეს ხალხი გააბრიყვეს, ააჯანყეს, და ასე საფრთხეში ჩააგდეს. „კომუნისტს" ამ უპასუხისმგებლო და უთავბოლო პირებისათვის უნდა მიემართა თავის სასტიკი საყვედურებით და მაშინ შეიძლება, სასაყვედურო პირებში თვის საკუთარი სახე და მეგობრები დაენახა. მაგრამ იგი სინამდვილის აღნუსხვას ჩვეული არაა. ისინი ისევ საქართველოს მენშევიკებს ესხმიან აჯანყებულებს რბთ სჯითო.

მოწყალეო ხელმწიფენო! თქვენ იცით, როგორ ისჯება აჯანყება რუსეთში, ე. ი. კომუნისტების ჩრეზვიჩაიკებში. თქვენ იცით, რომ ტყვია და წამება მათთვის იქ მზათაა. მაგრამ აბა თუ ერთხელ რომელიმე აჯანყებულის სასარგებლოდ დაგიძრავთ კრინტი!

მაშ აქ რამ აგახმაურათ? იმან განა, რომ მთელ ამ ავანტიურაში თქვენც არა მცირედი მუშაობა მიგიძღვისთ, და გინდათ ახლა მას ხელი დააფაროთ? სთქვით, ნუ გრცხვენიათ..

სიცრუეს ჩვეულნი, თქვენ გაიძახით პათეთიურათ: „არ გვინდა დავიჯეროთ, რომ მთელ ხალხს ისინი ასე ბურთივით აათამაშებენ, რომ ასეთ გაუგონარ ძალადობას ჩაიდენდნენ, რომ საქართველოს ხალხთა საპყრობილეთ გადააქციევენო". ჩვეულებრივ პათოსში, აქ ჩვეულებრივი სიყალბეა ჩართული.

ჩვენ სასტიკად ვეპყრობით არა ყველა ოსებს, არა მთელ ხალხს, არამედ ჯავის ხეობის მცხოვრებთ, რომელთაც აჯანყების ცეცხლი გააჩაღეს და მოღალატურათ ჩვენში რუსეთის შემოყვანას შეეცადენ. ამ ხეობის გარეშე ოსები ცხოვრობენ ატენის ხეობაში, ტრუსოს ხეობაში, ალაზან გაღმა და სხვაგან, მაგრამ მათ არც სდევნის ვინმე; არც ასახლებს: და თუ ომის ხანაში ქონდა ადგილი მოსაზღვრე ოსებისადმი მტრულ განწყობილებას ხალხში, ამას ჩვენ დღეს სასტიკათ ვებრძვით და ისევ ნორმალურ ურთიერთობის დასამყარებლად ვზრუნავთ.

და თქვენი ყალბი პათოსი, გულ ჩვილობა და ვითომ მდაბიო ხალხისადმი გულშემტკივარობა, სჯობდა იქ გამოგეჩინათ, სადაც გადაწვა სოფლების და დახვრეტა მუშების და გლეხების ჩვეულებრივ მოვლენათაა გადაქცეული, კომუნისტთა სამეუფეოში.

## საბჭოთა რუსეთში
(გაზეთებიდან)

**პურის კრიზისი მოსკოვში.** მოსკოვის მომხმარებ. საზ-ების გამგეობამ მოსკოვის სოვდეპს აუწყა, რომ პურის მხრით მოსკოვი დიდ კრიზისს განიცდის. მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო მხედველობაში, რომ მოსკოვში ეხლა საკმაო პური არ შემოდის და არც მოსალოდნელია ახლო მომავალში მდგომარეობის გაუმჯობესება, დაადგინა: გადასდოს მთლიანი რაციონების შემოღება და უკვე გაცემულ ბარათებით კვლავინდებური რაციონი აძლიოს. მოსკოვის მომხმარ. საზ-ების გამგეობამ დაადგინა: იმ ფურნეების მუშა-მოსამსახურეებს, სადაც საშუალოზე ცუდ პურს აცხობენ, მოესპოთ ჯილდო და პურის მიცემა, ან დაიკეტოს ასეთი ფურნე. („იზვესტია" № 164)

### ბრძოლა დეზერტირობასთან.

**სიმბირსკი.** „დეზერტირების თავის ნებით დაბრუნების კვირაში" ალატირის მაზრაში 1200 კაცი დაბრუნდა. („იზვეს." № 164).

**ვიტებსკი.** რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა ნეველში ბოროტ-დეზერტირს სტოლკოვს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. 10 დეზერტირს აგრეთვე დახვრეტა მიუსაჯეს და პირობით გაგზავნეს ფრონტზე. („იზვეს." № 164).

**ვიტებსკი.** პოლოცკში დიდი მიტინგი გაიმართა დეზერტირების გასასამართლებლათ. დაესწრო 2000-მდე წითელ არმიელი. მიტინგი გახსნა რევოლ. ტრიბუნალის წევრმა, რომელმაც დამსწრეთ განუმარტა სასამართლოს მიზანი და დანიშნულებანი. დამსწრეთაგან სასამართლოში 2 ამხანაგი შევიდა. გაასამართლეს 2 დეზერტირი: ერთი შეგნებული ბოროტი, მეორე—შეუგნებელი. ბრალმდებლის სიტყვის შემდეგ შეუგნებელი დეზერტირი ფრონტზე გაგზავნეს თავისი ცოდვის გამოსასყიდათ. დამსწრენი ტაშისკვრით შეხვდნენ ამ ამბავს. შეგნებულ ბოროტ დეზერტირს კი, დახვრეტა მიუსაჯეს. („იზვეს." № 164).

### შიმშილობა და ციმბირის პური.

„იზვესტია"-ას 164 ნომერში მოთავსებულია „სოვნარკომ"-ის დადგენილება—ბრძანება ციმბირიდან ზედმეტი პურის გამოზიდვის შესახებ. ამ ბრძანებას წინ წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობა, სადაც ნათქვამია: „საბჭოთა რუსეთის მომხმარებელ გუბერნიების მუშები, წითელი არმია და გლეხები სურსათის ნაკლებობას განიცდიან. წლევანდელ მოუსავლობის გამო ბევრ გუბერნიაში მოსალოდნელია მშრომელთა მდგომარეობის გაუარესება."

ბრძანება მოითხოვს, რომ ციმბირის გლეხებმა, რომელთაც წინა წლების ხორბალი დაუფქველი და დამალული აქვთ, 1921 წლის 1 იანვრამდე უნდა დაფქვან და სადგურებზე და ნავთსადგურებში ჩააბარონ ახალ მოსავალთან ერთად. სოფლის რევკომებს და საბჭოებს უფლება ენიჭებათ, თუ ეს ნებით არ გააკეთეს გლეხებმა, შრომის ბეგარაზე გაყვანით დაფქვან ხორბალი. ამ ბრძანების სისრულეში მოყვანის პასუხისმგებლობა ეკისრება ძალა-უფლების ყველა ორგანოებს ციმბირში—სოფლის რევკომებიდან დაწყებული ვიდრე ციმბირის რევკომს. ვინც არ დაემორჩილება ამ ბრძანებას, ხოლო ძალა-უფლების წარმომადგენელნი თავის მოვალეობას სათანადოთ არ შეასრულებენ, ქონებას ჩამოართმევენ და საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსებენ, როგორც მუშათა და გლეხთა რევოლიუციის მოღალატეებს.

**კიდევ საჩუქარი?** მოსკოვის საბჭოს სახელზე სპარსეთიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: „სპარსეთის ახალგაზრდა რევოლიუციონური მთავრობა მირზა კუჩუკის სახით, სთვლის რა აუცილებელ საჭიროებად რევოლიუციონურ რუსეთის მუშების ძმურად მხარის დაჭერას, ადგენს სასწრაფოდ გაუგზავნოს მოსკოვს პირველი საჩუქარი—15,000 ფუთი ბრინჯი. გაგზავნისათვის სასწრაფო ზომებია მიღებული. („იზვესტია" №158).

**სპეკულიაცია სასურსათო ბარათებით.** მოსკოვის სასურსათო მდგომარეობა მეტად მძიმეა. მძიმე წვალება, რომელსაც იტანს მშრომელი მოსკოვი, ზოგიერთ ელემენტებს არ აკავებს დანაშაულის ჩადენისაგან. გამოირკვა, რომ მოსკოვში ხმარებაშია 400,000 ყალბი სასურსათო ბარათი. ერთ სასურსათო მაღაზიაში მოახდინეს ახალი რეგისტრაცია, რომელზედაც გამოცხადდა 1,600 კაცი, მაშინ, როდესაც აქ დუქნიდან სურსათი მიქონდა 2300 კაცს. 700 სასურსათო ბარათი ყალბი აღმოჩნდა. საქმეში, ჩაერია „ჩრეზვიჩაიკა" და ათასობით დასაჯა სპეკულიანტების „შაიკა". („იზვესტია" 158).

### ახალი ტარიფები.

**ხარკოვი.** სატარიფო განყოფილებამ შრომის კომისართან შეთანხმებით შეიმუშავა ახალი ტარიფები პასუხის მგებელ პოლიტიკურ და პროფესიონალურ მუშაკებისათვის. ტარიფი გადიდებულია წვრილ მრეწველობაში—70%-ით, საშუალო — 80%-ით, მსხვილში კი—100 ით. ყველა მუშები გაყოფილნი არიან 5 კატეგორიათ. მაქსიმალური ჯამაგირი წვრილ მრეწველობაში არის 9880 მან., მინიმალური—7160 მან., საშუალო მრეწველობაში: მაქსიმალური—10780 მან.,

# დღეს

პოლონელები ვარშავასთან ბოლშევიკებს სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ. ფრანგული ცნობით პოლონელების პირველი თავდაცვითი ხაზი აღდგენილია.

ფრანგული ცნობით ინგლისს-საფრანგეთს შორის რუსეთისა და პოლონეთის შესახებ მეგობრული მოლაპარაკება გრძელდება.

„ფიგაროს“ ცნობით ამერიკის ფლოტი შავ ზღვაზე გაძლიერებული იქნება.

აგვისტოს 17-ს მინსკში გაიხსნა რუსეთ-პოლონეთის საზავო კონფერენცია.

სტამბოლიდან მიღებული ცნობით ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს აგვისტოს 10-ს.

რომში და იტალიის ზოგიერთ სხვა ქალაქებში მუშათა გაფიცვის ნიადაგზე შეტაკება მოხდა გაფიცულ მუშებსა და მცხოვრებლებს შორის.

მინიმალური—7800 მან., მძიმე მრეწველობაში მაქსიმალური—11700 მან., მინიმალური—8450 მან. („იზვ.“ № 158).

მოსკოვის ცხოვრება. მოსკოვში ამ ჟამად ცხოვრობს 1,280,000 კაცი. სტატისტიკური ცნობების მიხედვით ქორწინება საოცრად გაზრდილა. დაბადებულთა რაოდენობა მოსკოვში დაეცა. სიკვდილიანობამ რამოდენიმეთ იმატა. ციფრები ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ უკანასკნელ ხანებში მოსკოვში კვება გაუმჯობესდა, განსაკუთრებით მუშებისათვის. მოსკოვში ამ ჟამად ირიცხება 87,000 მუშა, ე. ი. მუშების რიცხვი შემცირდა თითქმის ორჯერ ომის დაწყების დროსთან შედარებით, მოსამსახურეთა რიცხვი 27 ათასიდან 9 ათასამდე შემცირდა. სახალხო განათლების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ პირველ და მეორე საფეხურის სკოლებში მოწაფეთა რიცხვი გაიზარდა 8 %, საგრძნობლათ შემცირდა პედაგოგიური პერსონალის რაოდენობა. უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლებს ახლა 80% მეტი ჰყავთ, ვინემ ომამდე ჰყავდათ. უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა რიცხვი გაიზარდა ორჯერ, სამკურნალო ფაკულტეტზე კი—4 ჯერ. („პრავდა“ № 156).

### დახვრეტილთა სია.

1) ფაინგოლდი იოს. 28 წ.—განმანაწილებელ პუნქტის № 8-ს გამგეთ ყოფნის დროს გაყიდა სახაზინო ქონება, აღებული ფულები გადასცვალა ნიკოლაიზის ფულებზე, იშოვა ყალბი საბუთები წითელ არმიელისა და ცდილობდა პოლონეთში გადასვლას. 2) ეფრონოვლევი პეტრე 42 წ.; სასურსათო მაღაზია № 34—გამგეთ ყოფნის დროს ყიდულობდა სასურსათო ბარათებს და იღებდა მით პროდუქტებს. 3) სულტან შაჰი ილია 30 წ. მაღაზიის გამგეთ ყოფნის დროს მოიტაცა 850 სასურსათო ბარათი მათი გაყიდვის მიზნით, 4) ბლიუმელი ალექსანდრე 28 წ.—შეადგინა ფიქტიური სასახლო კომიტეტი და იღებდა სასურსათო ბარათებს. 5) არხიპოვი მიხეილ 29 წ.—მონაწილეობას იღებდა ბლიუმელთან ყალბი ბარათების მიღებაში. 6) ზიმინი ნ. 24 წ., 7) ზიმინი ჰ. 25 წ. და 8) მუჩნი გ. სასურსათო ბარათებით სპეკულიაციისთვის. 9) ბელოლაპოტკოვა ოლღა 50 წ. სისტემატიურად იპარავდა და ყიდდა მანუფაქტურის ტალონებს. („იზვესტია“ № 158).

შემდეგ ჩამოთვლილია კიდევ 8 დახვრეტილის გვარი და სახელი, მათი დანაშაულობაც გამოიხატება სასურსათო ბარათებით სპეკულიაციაში.

მუშის ხმა. სახელმწიფო საავტომობილო ქარხანა „ხმა“-ში არსებობდა 2 პარტიული ამხანაგისაგან შემდგარი კომიტეტი, რომელმაც ნება დართო კერძო პირებს ხორბლის დაფქვისა წისქვილზე. „კულაკები“ სამაგიეროდ აძლევდნენ ორ პარტიულ კომიტეტს ფქვილს ან არყის ფულს. ამიტომ პარტიიდან გამორიცხულ იქნენ დემიდოვი და გოლცოვი. პარტიიდან გამორიცხვა მათთვის არ იყო საკმარისი. ისინი უნდა გადაეცათ რევოლიუციონური ტრიბუნალისათვის. ჯერ ერთი: ისინი სახელმწიფო ელექტრონის ენერგიას ხარჯავდნენ კერძო პირთა სასარგებლოთ, მეორე—ისინი ორჯერ შენიშნული იყვნენ სიმთვრალეში და კარტს თამაშობდნენ მეწისქვილის ბინაზე. 3 პარტიულ ამხანაგს უნდოდა დაეჭირა გოლცევის. მაგრამ ვინაიდან მას (გოლცევს) აღმოაჩნდა რევოლვერი, შეეშინდათ. გოლცევი დანაშაულში გამოტყდა. მუშები ძლიერ აღელვა ამ გარემოებამ. ისინი ამბობდნენ: ჩვენ ვმუშაობთ ნახევრათ მშიერნი, კომიტეტები კი ქეიფობენ, კარტს თამაშობენ, ქრთამებს იღებენ და ამისათვის ისინი ასე იოლათ დასაჯეს, (პარტიიდან გამორიცხვით) იმ დროს, როცა მუშებს უბრალო დანაშაულისათვის მოსკოვის „ჩრეზვიჩაიკაში“ გზავნიან.

წინად მოხდა საქარხნო კომიტეტის ხელ ახალი არჩევა. მუშათა მასსა საშინლად უკმაყოფილო იყო ძველი კომიტეტით, მაგრამ გოლცევმა შესძლო მუშებისათვის თვალის ახვევა და არჩეულ იქნა ისევ ძველი კომიტეტი,—დემიდოვი კვლავ წამოსკუპდა თავის ადგილზე. იქ ის ყიდულობდა საძირე ტყავს და ყიდდა 8 ათას მან. რკინის ჩამომსხმელთა ცეხა ძლიერ აღელვებული იყო. რათ ყიდიან ასე ძვირათ, როდესაც ჩვენ ამდენს არ ვღებულობთ. მუშებმა უჩივლეს და დემიდოვი დატუსაღებულ იქნა ერთ ნახევარი დღით,—გოლცევმა დასწერა რაღაც განცხადება და ის გაანთავისუფლეს, ამხანაგებო! თუ ჩვენ ასე ვიმუშავეთ ჩვენში არაფერი არ შეიქნება, პირიქით, ყველაფერი დაინგრევა.

შემდეგ წერილის ავტორი ეხება საქარხნო გამგეობის უმოქმედობას და ამბობს: ჰაეროპლანზე მომუშავეებისათვის უნდა მიეცათ პრემიები, მაგრამ ნამდვილათ პრემიები მიიღეს მოსამსახურეებმა და არა მუშებმა.

მოსამსახურეებმა მიიღეს 8—8 ათასი მან. მუშებმა კი 1, 2, და 3 ათასი მან. ამ გარემოებამ მუშები ძლიერ აღელვა. და ნაყოფიერება შრომისა დაეცა, სჩანს, ვინც არ მუშაობს ის ღებულობს. მე წინადადებას ვიძლევი, დანიშნულ იქნას ერთ პიროვნული მმართველობა, ეს აჯობებს ყველაფერს. თორემ კომიტეტის ვერც თავს იპოვის კაცი და ვერც ბოლოს“. ნ. უტკინი. („პრავდა“ № 156)

## მცირე შენიშვნა

(ბოლშევიკური ინფორმაციის გამო)

იმის თვალსაჩინო მაგალითად, თუ როგორის „სისწრაფით“ იძლევიან ბოლშევიკები ცნობებს, საკმაოა მოვიყვანოთ ადგილობრივი მისიის ბეჭდვითი ბიუროს ერთი ცნობა.

გუშინ მისიის ბიურომ გაზეთებს და მათ შორის ჩვენც, სხვათა შორის, შემდეგი ცნობა მოგვაწოდა:

**ინგლისის მუშებს შეუძლიათ სახელმწიფოს მართვა.**

მოსკოვი. 13 აგვისტო. „ფორვერტსი“ იუწყება, რომ ინგლისის მუშათა პარტიის სხდომაზე პარტიის და პარლამენტის წევრმა კლენსმა განაცხადა:

„ეჭვს გარეშეა, რომ მუშათა პარტიას შეუძლიან ხელში აიღოს სახელმწიფოს მმართველობა და რომ ეს ახლო მომავალში მოხდება. მუშათა პარტიას ინგლისის მართვა ორივე ინგლისურ ისტორიულ: კონსერვატიულ და ლიბერალურ პარტიებზე ცუდათ არ შეუძლია“.

ესევე ცნობა ჩვენ ამოვიკითხეთ მოსკოვის „იზვესტიის“ ამა წლის. 22 ივლისის ნომერში (160—(1007), სადაც, სხვათა შორის, სწერია: „ფორვერტსი“ (25 ივნისის) იუწყება“ და სხ...

ასე რომ, ბერლინის გაზეთში 25 ივნისს მოთავსებულ ცნობას მოსკოვის „იზვესტია“ აწვდის მკითხველებს 22 ივლისს.

ამავე ცნობას ადგილობრივი საბჭოთა მისიის ბიურო აწვდის ტფილისის გაზეთებს 18 აგვისტოს და თავის ცნობას აწერს „მოსკოვს“ და 13 აგვისტოს თარიღს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ცნობა 18 აგვისტოს ნომერში ე. ი. ერთი დღით ადრე საბჭოთა მისიის ცნობისა, უცხოეთის გაზეთებიდან გადმობეჭდა გაზ. „ბორბა“-მ სადაც კლენსის სიტყვა ასე თავდებოდა: „Своей внѣшней политикой коммунистическое (?) рабочее правительство устранитъ опасность войнъ между цивилизованными народами.

ამ ცნობასთან ერთად „ბორბაში“ ნათქვამი იყო შემდეგი:

„Газета „Форвертсъ“, изъ которой мы беремъ это сообщеніе, сопровождаетъ его слѣдующимъ примѣчаніемъ: Клейсъ принадлежащій къ крайнему правому крылу Рабочей Партіи, безъ сомнѣнія, употребилъ фразу „коммунистическое рабочее правительство“ въ историческомъ а не совѣтскомъ смыслѣ“.

ასე რომ, მეტის მეტად დაგვიანებასთან ერთად, მკითხველებს დაუმალეს რაც მთავარი იყო ამ ცნობაში: ის, რომ კლენსი კომუნისტურ სახელმწიფოზე კი არ ლაპარაკობდა, არამედ სოციალისტურზე.

მაგრამ ვინც იცნობს ბოლშევიკურ ინფორმაციის ბუნებას, მისთვის აქ არა ჩვეულებრივი არაფერია...

## რუს. ს. დ. მ. პ. ცენტ. კომ. წერილი ინგლ სის დელეგაციას

ამხანაგებო! ჩვენმა გულახდილმა საუბარმა თქვენთან და განსაკუთრებით ჩვენი პარტიის წევრების გამოსვლამ მოსკოვის საბჭოში და მბეჭდავების მიტინგზედ, გამოიწვია მმართველ პარტიის მიერ ჩვენი პარტიის საშინელი დევნა. ჩვენ ბრალად გვდებენ იმას, რომ თქვენ მოგეცით მასალები, რომლებიც ამჟღავნებენ ბოლშევიზმის რეჟიმის ხასიათს იმ მიზნით, რომ შეასუსტონ ინგლისის მუშათა კლასის ბრძოლა ინტერვენციის წინააღმდეგ. იმისათვის, რომ მიუსიონ ჩვენს პარტიას ბნელი მასები, ჩვენს მუშაობას უკავშირებენ ყუმბარების საწყობების აფეთქებას, რასაც ჰქონდა ადგილი მოსკოვში და რომელსაც აწერენ პოლონეთის აგენტებს; ჩვენ სრულიად არა ორაზროვნათ მკაცრი რეპრესიებით გვემუქრებიან, როგორც „პოლონელ ცეცხლის წამკიდებელთა“ დამხმარეთ.

კვირას, 30 მაისს სრულიად რუსეთის ჩრეზვიჩაიკამ გამოსცა ბრძანება ყველა ადგილობრივ კომისარიატთა მიმართ, რომ შეუბრალებლათ გაუსწორდნენ, როგორც საწყობებზე დაცემის ცდაში დამნაშავეებს, ისე „ლოიდ ჯორჯის ჯაშუშებს“, (ამ სახელით არიან მონათლულნი ბოლშევიკურ გაზეთებში ყველა ისინი, ვინც მოგაწოდათ თქვენ მიუდგომელი ცნობები).

ამნაირ სახელწოდების განსამარტავათ ბოლშევიკური პრესა ამტკიცებს, რომ ინგლისის დელეგაციის შორის ლოიდ-ჯორჯის თუ პირდაპირი აგენტები არა, იმისი საგარეო პოლიტიკის მომხრენი—მაინც არიან.

პირველ ივნისს გამოქვეყნებული კომუნისტების პარტიის მოსკოვის კომიტეტის „თეზისები“ გვაუწყებენ: ანტანტის მთავრობებმა საბჭოთა რუსეთის სასარგებლოთ პროლეტარიატის მოძრაობის [illegible]

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

19 აგვისტო.

[illegible]

რეთა მისია პოზენში მივიდა.

**ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარე**

ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარე შაბათს პარიზიდან კონსტანტინოპოლში დაბრუნდა.

**ალბანეთის პროტესტი.**

ალბანეთის მთავრობამ მოკავშირეთა სახელმწიფოებს გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც იგი ალბანეთის ტერიტორიაზე სერბეთის ჯარების შესვლის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს.

**მთავრობა და თემთა პალატა.**

ლოიდ ჯორჯი და ბონარ-ლოუ აგვისტოს 17 თემთა პალატაში მთავრობის მოქმედებას იცავდენ. მათ განაცხადეს, რომ ინგლისი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერევა ომში, თუ პოლონეთის დამოუკიდებლობის წინაშე საფრთხე აღიმართება. პრემიერმა განაცხადა, რომ იგი პარლამენტის დაუკითხავად არავითარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

**ვ ა რ შ ა ვ ა ს თ ა ნ.**

გაზეთების ცნობით ბრძოლა ვარშავასთან პოლონელების სასარგებლოთ ვითარდება.

**ბოლშევიკები და რუმინია.**

თანახმად „დეილი მეილის“ ცნობისა, რუმინეთის მთავრობაში ბოლშევიკებისადმი პასუხის გაცემის შესახებ უთანხმოება არის, გენერალი ავერესკო მოლაპარაკების დაწყების მომხრეა, ტაკე იონესკუ კი ამის წინააღმდეგია. ფიქრობენ, რომ ავერესკოს აზრი გაიმარჯვებსო.

**ამერიკის ფლოტი შავ ზღვაზე.**

„ფიგარო“ იტყობინება, ამერიკის კრეისერმა „პიტსბურგმა“ ბრძანება მიიღო ბალტიის ზღვისკენ გამგზავრებისა. შავ ზღვაზე მყოფი ამერიკის ფლოტი გაძლიერებული იქნება კრეისერებით და მმუსრავებით.

**პოლონეთის ჯარების მდგომარეობა.**

აღნიშნავენ, რომ პოლონეთის ჯარების მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესდა. ეს გაუმჯობესება განსაკუთრებით სამ ადგილს ეჩნევა, ტორნის ჩრდილოეთით მდებარე ოლქს, სადაც პოლონელების ენერგიული კონტრ-შეტევა დაიწყო, ვარშავის რაიონს, სადაც კონტრ-შეტევით აღდგენილ იქნა თავდაცვითი პირველი ხაზი და დასასრულ სამხრეთს, სადაც წითელი ჯარები პოლონელების ძლიერ შეტევას ვერ უძლებენ.

**ბირჟის კურსი.**

„ტანი“ სწერს: ბირჟის განწყობილება მიუხედავათ იმისა, რომ პოლონეთის საკითხმა უკეთესი მიმართულება მიიღო, არ შეცვლილა. ლონდონი.—50,18½, ნიუ იორკი—13,81½. ბელგია—105½, იტალია—66¼, პრაგა—24¼, რუმინეთი—31, შვეიცარია—230.

**ხალხთა ლიგა.**

თანახმად პრეზიდენტ ვილსონის ჩვენებისა ხალხთა ლიგის საბჭომ გადაწყვიტა გახსნას პირველი სხდომა ნოემბრის 15.

**საერთაშორისო ფინანსიური კონფერენცია.**

საერთაშორისო ფინანსიური კონფერენცია ბრიუსელში სექტემბრის 24-ისთვის არის დანიშნული. გერმანიის, ავსტრიის, უნგრეთის და ბულგარეთის მთავრობებმა მიიღეს ცნობა კონფერენციაზე თავიანთ წარმომადგენლების გაგზავნის შესახებ.

**პოლონეთის დელეგაცია.**

კვირას საღამოთი პოლონეთის დელეგაცია მინსკში ჩავიდა. გაზეთების კორესპონდენტები ოთხშაბათს გაემგზავრებიან. საფრანგეთის პრესა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ შესაძლებელია პოლონეთის მდგომარეობის გაუმჯობესებამ ფრონტზე სრულიად შესცვალოს საზავო მოლაპარაკების ხასიათი.

**პოლონეთის მდგომარეობა.**

გერმანიის პრესის ნაწილი აღნიშნავს პოლონეთის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ჩვენი დამოკიდებულება რუსეთთან ამბობს „ლოკალ ანცაიგერი“ კორექტული უნდა იყოს.

## გერმანული ცნობები

**ჩერქეზები ბოლშევიკების ჯარში.**

(დასაწყისი არ მიგვიღია).. ჩვენ ნება მოგვცეს რომ დღე გაგვეტარებია რუსეთის ჯარის სიამაყე 25 ათასი ცხენოსან ჩერქეზთან. ამ ჩერქეზებმა დაამარცხეს პოლონეთის ჯარის ჩრდილოეთის ფრთა. აიღეს სიმაგრეები, წამოიყვანეს ტანკები და კიევიდან გროდნომდი ყოველ ბრძოლაში გამარჯვებული გამოდიოდნენ. ისინი ახლა მიუახლოვდნენ გრაუდენცსა და ტორნს.

ამ ცხენოსანმა ჯარმა არ იცის რაა ბოლშევიზმი. ესენი კავკასიის პირველ ყოფილ ხალხთა წარმომადგენლებია და ომი მათთვის სიამოვნებას შეადგენს. ამიტომაც არის, რომ ისინი დღეს ყველაზე უფრო საშინელი ჯარია. ბოლშევიკები ხართ თქვენ თუ არა, შეეკითხენ მათ:—არ ვიცითო—იყო პასუხი. რისთვის იბრძვით პოლონეთის წინააღმდეგ—პოლონელები ზნემდაბალი ხალხია, მათ უნდოდათ მთელი რუსეთის დაპყრობა. როდესაც ჩვენ იმათ დავამარცხებთ—დავამარცხებთ ინგლისსაც. ინგლისი უფრო გვძულს, ვიდრე პოლონეთი, ვინაიდან ინგლისს უნდა დაეუფლოს კავკასიას და მოუსპოს თავისუფლება იქაურ დამოუკიდებელ ერებს, როგორც მაგალითად ქართველებსო.

მათი ასეთი ლაპარაკი არის მაჩვენებელი აღმოსავლეთში ბოლშევიკების მუშაობისა და პროპაგანდისა.

გენერალი გაიდა ცხენოსანთა მესამე დივიზიის უფროსადაა. როგორც ბუდიონი, ისიც მსახურობდა ჯარში მეფის მთავრობის დროს და გმირობის გამო წარჩინება მიიღო. გაიდა იბრძოდა ციმბირში კოლჩაკისა და შემდეგ დენიკინის წინააღმდეგ. ბოლოს უკრაინისკენ წამოვიდა და კიევთან ბრძოლა მოიგო. გაიდამ ნება მომცა თავისუფლად მეტრიალა ჩერქეზთა წრეებში. ჩერქეზები ატარებენ თავის ლამაზ ტანისამოსს. ახურავთ ბოხოხი ქუდი, ატარებენ ხანჯალს, თოფს და ტყვისმფრქვეველებს. ყველ კაზაკს (?) ზურგზე მოკიდებული აქვს ცხენის საკვები ქერით სავსე ტომარა. ისინი ჯგუფ-ჯგუფობით იბრძვიან, ჯგუფში 20-50 კაცია, ზოგჯერ 100. არა ყავთ აფიცრები: ვინც ყველაზე გულადია, მათი ბელადიც ისაა. ზოგჯერ მათ ყმაწვილები ხელმძღვანელობენ. ესენი არიან ჩერქეზთა გამოჩენილი გვარეულობის ჩამომავალნი. მხეცებივით იბრძვიან. ბრძოლის გარეშე უბრალო და გულკეთილი ხალხია. თვალყურს ვადევნებდი მათ სიმღერას. ისინი სიყვარულის სენტიმენტალურ სიმღერებს მღეროდნენ. ჩემს შეკითხვაზე, თუ როდის დასტოვეს იმათ სამშობლო, ერთმა იმათგანმა მიპასუხა: უკვე 5 წელიწადიაო სომხებმა 2—4 წელიწადიაო. კითხვაზე რას აკეთებდენ ამ ხნის განმავლობაში, მიპასუხეს ვიბრძოდით რა უნდა გვექნა მეტიო, და მართლაც, შეიძლება ითქვას რომ კავკასიის ხალხები ომისათვის არიან დაბადებულნი, ისინი სტკბებიან ომით დღესაც, როდესაც მთელი განათლებული კაცობრიობა დაიღალა ამდენი სისხლის ღვრით.

**ალენშტეინში.**

ორშაბათს დილით მოკავშირეთა კომისიამ ალენშტეინში ძალა უფლება გერმანელებს გადასცა. პრეზიდენტმა ეს ამბავი გერმანიის ერს მიულოცა.

**რუსეთის ჯარების კომისარის განცხადება.**

სოლდაუში შესულ რუსეთის ჯარების კომისარმა განაცხადა, რომ მან უმავთულო დეპეშით მიიღო მოსკოვიდან განკარგულება, რათა სოლდაუს ოლქის მართვა-გამგეობა გადასცეს ადგილობრივ მცხოვრებლებს, ვინაიდან რუსეთს არა აქვს განზრახული გერმანიის შინაურ საქმეებში ჩარევის.

## საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი.

19 აგვისტო.

საქართველოში არსებულ რუს. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიურო იუწყება:

„გაზ. „სლოვო“-ს ა. წ. 18 აგვისტოს № 186-ში მოთავსებულია ცნობა სათაურით: „რ. ს. ფ. ს. რეს. სრულუფლებიან წარმომადგენლის ბ. ვ. ლეგრანის სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელთან მისვლა და მასთან საუბარი, რასაც სინამდვილეში ადგილი არა ჰქონია. თავიდან ბოლომდე შეთხზულია ამ აღწერილობაში ვითომ ბ. ვ ლეგრანს მიეღოს ცნობები საბჭოთა ჯარების მიერ 10 აგვისტოს შეთანხმების დარღვევის შესახებ ნამდვილათ საქმე ასე იყო: 16 აგვისტოს სომხეთის დიპლომ. წარმომადგენელმა ბეგზადიანმა ინახულა ამხ. ლეგრანი, რომელსაც გადასცა თავისი ცნობები 10 აგვისტოს შეთანხმებით შემუშავებულ საზღვრების საბჭოთა ნაწილების მიერ გადალახვის შესახებ. ამხ. ლეგრანმა უპასუხა, რომ მას არავითარი მოხსენება არ მოსვლია საბჭოთა ნაწილების სომხეთის ჯარებთან 10 აგვისტოს შეთანხმების დადების შემდეგ შეტაკების შესახებ და განუცხადა, რომ საბჭოთა მთავრობამ ბრძანება გასცა, რომ აღნიშნულ შეთანხმების ყველა პუნქტები სისწორით დაიცვან“.

**კონტრ-რევოლიუციონერების პროცესი.**

მოსკოვი, 18 აგვისტო. (რადიო). მოსკოვის უმაღლეს რევოლიუციონურ ტრიბუნალში დაიყო კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციის ფაქტიურ ცენტრის საქმის გარჩევა. ამ ორგანიზაციას მიზნათ ჰქონდა დასახული რუსეთში საბჭოთა მთავრობის დამხობა, სამაგიეროთ გენერლების დიქტატურის დამყარება და რევოლიუციამდე არსებულ კაპიტალისტურ წესწყობილების აღდგენა. ბრალდებულთა სკამებზე სხედან „მემამულეთა კავშირის“ წევრნი, ვაჭარ-მრეწველთა ტუზები, ერობის მოღვაწენი და პროფესორები: მათ შორის არიან ცნობილი პირნიც: სერგეი ტრუბეცკოი, მელგუნოვი, როზანოვი, კიშკინი, კოტლიარევსკი, პროტოპოპოვი, ლევ ტოლსტოის ქალი ალექსანდრა ურუსოვა.

**უკრაინის სოფლებში.**

კიევი. 14 აგვისტო. სოფლებში მუშაობის შესახებ მოწვეულ სრულიად უკრაინის ყრილობაზე მოსმენილ მოხსენებებიდან სჩანს, რომ მთელ უკრაინაში მარჯვედ მიდის „ღატაკთა კომიტეტების“ მოწყობის საქმე. სურსათის გაწერა ყველგან დამაკმაყოფილებლათ ტარდება. ყველაზე ცუდათ ჩატარდა პოლტავის გუბერნიაში (58%); ზოგიერთ გუბერნიაში კი, როგორც მაგ. ვოლინის და კიევისაში 100% აღწევს. უკრაინის სოფლებში ეწყობა სამეურნეო იარაღის გასაქირავებელი პუნქტები და შესაკეთებელი სახელოსნოები.

**უნგრეთის პოზიცია.**

ნიკოლაევი. 14 აგვისტო. უნგრეთის მთავრობამ ოფიციალურათ განაცხადა, რომ უნგრეთი მონაწილეობას არ მიიღებს არც სამხედრო და არც დიპლომატიურ მოქმედებაში, ვიდრე მის ინტერესებს პირდაპირ არ შეეხებიან.

**ამერიკა და მოსკოვი.**

მოსკოვი. 18 აგვისტო. (რადიო) შეერთებულ შტატების მთავრობამ უარი განაცხადა ევროპის კონფერენციაზე რუსეთის დელეგატებთან ერთად მონაწილეობაზე, რადგანაც ამ კონფერენციაზე რუსეთის განაწილებას გადასწყვეტენ. ამერიკა სცნობს მხოლოდ ფინლანდიის და პოლონეთის დამოუკიდებლობას და უარს ამბობს სხვა განაპირა სახელმწიფოთა ცნობაზე.

**ტროცკის აზრი ფრონტებზე მდგომარეობის შესახებ.**

მოსკოვი. 18 აგვისტო. (რადიო). მოსკოვის სოვდეპის და სხვა მუშათა ორგანიზაციების გაერთიანებულ სხდომაზე ამხ. ტროცკიმ მოხსენება გააკეთა პოლონეთის და ფრონტებზე შექმნილ მდგომარეობის შესახებ.

„ჩვენი სამხედრო მდგომარეობა, ამბობს ტროცკი, საერთოდ კარგია. თეთრი პოლონეთის ფრონტზე ჩვენმა ჯარებმა თავისი დანიშნულების მთავარი ნაწილი შეასრულეს, ხოლო რაც შეეხება ვარშავაზე მიმდგარ წითელ არმიის შეფერხებას, სრულიად არ სცვლის გარემოებას, მით უმეტეს, რომ პოლონეთის ფრონტი ეხლა 2 ნაწილათ არის გაყოფილი და აქვს ორი ცენტრი, ერთი ვარშავაში, მეორე მინსკში. მინსკის საზავო მოლაპარაკებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, ვინაიდან იგი ემთხვევა მუშათა საერთაშორისო მღელვარე მოძრაობის შერყეულ ნიადაგზე. რაც შეეხება ვრანგელის ფრონტს, აქ იძულებული ვართ მივმართოთ დამკრული რაზმების სისტემას; რამდენიმე ალაგას მტერს ჩვენ გზას ვუხსნით, მაგრამ ფრთებიდან და ზურგიდან ვურტყამთ.

მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, რევოლუციის ბედს პოლონეთის ფრონტი გადასწყვეტს და ამიტომაც ჩვენს უმთავრეს ძალებს დასავლეთით მოუყარეთ თავი, სამხრეთით კი მხოლოდ მცირედი ძალები დავტოვეთ ვრანგელის შემოტევის შესაჩერებლათ. ეხლა ვრანგელის ფრონტს პირველ ხარისხოვანი ფრონტის მნიშვნელობა ეძლევა, რადგან ვრანგელი საფრანგეთის ფლოტის დახმარებით სცდილობს თავისი ოპერაციების ბაზა შავი და აზოვის ზღვების სანაპიროებიდან დონის და ყუბანის ოლქებში გადაიტანოს. მას ჩვენ უნდა ვუხრათ, „შესდექ“! ჩვენ მტკიცეთ უნდა განვაცხადოთ, რომ სისხლით მოპოებულ დონის ოლქს, ჩრდილო კავკასიას და ადერბეიჯანს ვრანგელის ბრბოებს არ დავუთმობთ. ვრანგელის ცხენოსან ჯარის საწინააღმდეგოთ უნდა გავაძლიეროთ და გავამტკიცოთ ჩვენი საკუთარი ცხენოსანი ჯარი. ჩვენ გვჭირია კომუნისტების ახალი ტალღა, და კომუნისტურ პარტიის და პროფესიონალურ კავშირების მთავარი მიზანი უნდა იყოს: მოხალისეთაგან ახალი ცხენოსანთა თუნდაც მცირედი რაზმების შექმნა“.

გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა ცხოვრებაში გაატაროს ამხ. ტროცკის მიერ აღნიშნული ღონისძიებანი.

**საერთაშორისო კონტრ-რაზვედკა**

ბელგრადი. 26 ივლისი. „რუსკაია გაზეტა“ იუწყება, რომ სტამბოლში ინტენსიურად მუშაობს „საერთაშორისო კონტრ-რაზვედკა“, რომელიც უმთავრესად ებრძვის ბოლშევიზმს და მის შექრას ევროპაში სტამბოლით.

**ნაციონალისტების თავდაცვა.**

ხლამბოლი, 3 აგვისტო. ნაციონალისტები გამალებით ასწორებენ ანგარა-ეიზერუმის გზას. მუშათა ბატალიონები მაჰმადიანებით შეავსეს.

**ქემალის ბანკის გადატანა.**

ბათომი, 18 აგვისტ. ადგილობრ. გაზ. „ისლამ გიურჯისტანი“ გადმოგვცემს, რომ მუსტაფა ქემალმა თავისი ბანკი ესკი-შენარში გადაიტანა.

**ქემალ ფაშის შტაბის სამხედრო ცნობა.**

ანგარა,13 აგვ. ბერძნები, რომლებიც შეტევას აწარმოებდენ, 8 საათის ბრძოლის შემდეგ დიდი ზარალით მოგვიგერიეთ. ჩვენმა ჯარმა ყარა მურსალი აიღო. ბერძნებმა წაიყვანეს 12 მძევალი რომელთაგან ერთი მოკლეს და ზღვაში გადააგდეს. ბრუსის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. უშაკის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და მტერს დაახვეინა. დენიზლის რაიონში ჩვენმა მზვერავებმა გამოარკვიეს, რომ ბერძნებს თავისი ბანაკი დაუტოვებიათ.

# საქ. დემ. საარგენტოს საინფორმაციო განყოფილება

19 აგვისტო.

**რუსეთის დაშლა.**

ლონდონი. აგვ. 1. ლონდონში გამოდის ეკონომიური ჟურნალი, რომელიც ემსახურება რუსეთ-ინგლისის სავაჭრო ინტერესებს: ამ ჟურნალში გადათარგმნილია წერილი სათაურით: „რუსეთის დაშლა“. წერილში ცნობები საბჭოთა რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ მოყვანილია ციურიხის გაზეთიდან. ამ წერილის ცნობით შემოდგომაზე რკინის გზის მოძრაობის სავსებით შეწყვეტას მოელიან. საბჭოთა რუსეთის ექსპერტიზამ გამოარკვია, რომ ტრანზიტის ნორმალური მდგომარეობის აღდგენა კარგ პირობებშიაც კი შეუძლებელია 1923 წლამდეო. არსებულ გემთა 97% სერიოზულ შეკეთებას საჭიროებს. შემჩნეულია ცხენების თანდათანობით შემცირება. 130 ათას ცხენიდან მოსკოვში ახლა მხოლოდ 8 ათასი ცხენია. მიუხედავათ სასტიკი ზომებისა, მრეწველობა რუსეთში კატასტროფიულ მდგომარეობაშია. ორთქლმავლის დამზადებელ ქარხნებში მუშაობა თითქმის სულ შეწყდა, ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონის მუშაობა მოდუნდა. პეტროგრადში 95 საფოსტო და სატელეგრაფო დაწესებულება დაიხურა.

**ამერიკა და სომხეთის მანდატი.**

პარიზი. აგვისტოს 3. „ტანი“ ნიუ-იორკიდან დეპეშით მიღებულ ცნობას ბეჭდავს: ამერიკის მისიის თავმჯდომარე სომხეთიდან დაბრუნდა და კონგრესს სომხეთის მანდატის საკითხის შესახებ მოხსენება წარუდგინა. მოხსენებაში აღნიშნულია, თუ რა პირობებში დასთანხმდება ამერიკა სომხეთის მანდატის მიღებას. მან სომხეთში 50,000 ჯარისკაცი უნდა გაგზავნოს. ამერიკის ჯარის რიცხვი სომხეთში შეიძლება შემცირდეს მხოლოდ მესამე წელს. სამხედრო ძალის სომხეთში გაგზავნა გამოიწვევს ყოველ წლიურად 175 მილიონ გირვანქა სტერლინგის ხარჯსო.

**თავხედური თუ სულელური პასუხი.**

პარიზი. აგვის. 6. გაზეთი „ტანი“ ინგლისის საზოგადოების ბოლშევიკებთან დამოკიდებულების შესახებ სწერს: აღსანიშნავია ინგლისის პოლიტიკურ პარტიების ერთსულოვნება რუსეთ-პოლონეთის საკითხში. ის პარტიებიც კი, რომლებიც ბოლშევიკებთან ზავის მომხრენი იყვნენ როდესაც გამოირკვა, რომ პოლონეთის განადგურება მოელოდა, ბოლშევიკებს გადაუდგნენ. ასკვიტი და რობერტ სესილიც კი დაეთანხმა ლოიდ ჯორჯს პოლონეთის დახმარების საჭიროებაში. ლოიდ ჯორჯმა ჩიჩერინის ნოტის შინაარსის შესახებ სთქვა: საბჭოთა რუსეთის პასუხი ჩვენ კვირას საღამოს მივიღეთ. ჩემმა კოლეგა მილიერანმა ეს პასუხი თავხედურ პასუხად ჩასთვალა. მე კი ის მიმაჩნია სულელურ პასუხად. ამ ნოტის შინაარსი, როგორც ყოველთვის, ორ აზროვანია და პოლიტიკური კილოს ადგილი აგიტაციას უჭირავს.

რამდენათაც მე გამოვარკვიე, მოსკოვს სურს პირდაპირი მოლაპარაკება გამართოს პოლონეთთან. მოსკოვი დიდსულოვანებასაც იჩენს და პირდება პოლონეთს მოკავშირეებზე მეტს, მხოლოდ იმ პირობით, თუ პოლონეთის მთავრობა პროლეტარული მთავრობა იქნება. მოსკოვს ავიწყდება, რომ მას არა აქვს უფლება თავისუფალ ერს თავს მოახვიოს თავისი მართვა-გამგეობა. ლენინს უნდა თვითმპყრობელობაში არ ჩამორჩეს არა მარტო პეტრე დიდს, არამედ—იოანე მრისხანესაც. საბჭოთა რუსეთის ნოტის კილო ისეთია, თითქოს მოკავშირეებს გადაწყვეტილი ჰქონოდათ მათი დელეგატებისათვის რეველში დარჩენის წინადადება მიეცათ. მოკავშირეებმა სასწრაფო ზომები უნდა მიიღონ ახალგაზრდა პოლონეთის საშველად და გასამაგრებლად. ასკვიტი დაეთანხმა ლოიდ ჯორჯს და მოითხოვა, რომ პოლონეთის დახმარების თაოსნობა ერთა ლიგას დაეკისროს. ამაზე ლოიდ ჯორჯმა უპასუხა, რომ ბოლშევიკები ხელაღებით უარყოფენ ერთა ლიგასაცო. „მორნინგ პოსტი“ გამოსთქვამს მწუხარებას იმის გამო, რომ ლოიდ ჯორჯმა ადრე არ დაინახა საფრთხე და ბოლშევიკებთან მოლაპარაკება გამართა. ბოლშევიკები კი ინგლისის ზურგს უკან თავის მოღალატურ ტაქტიკას აწარმოებენო.

**საზავო ხელშეკრულება.**

სტამბოლი. აგვ. 12. რადიოს ცნობით ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს აგვისტოს 10 დღის 4 საათსა 8 წუთზე. ხელშეკრულებას პირველათ ხელი მოაწერა ქადი-ფაშამ, შემდეგ მოკავშირეთა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ყველაზე ბოლოს ხელი მოაწერა საბერძნეთმა და იტალიამ. სერბიის წარმომადგენლის არ ყოფნის გამო ხელშეკრულება სერბიის მხრივ ხელმოუწერელი დარჩა.

**შეტაკებები გაფიცვის გამო.**

რომი აგვ. 2. „კორიერე დე ლასერა“ იუწყება: მცხოვრებლებმა მოახდინეს ტრამვაის მოსამსახურეთა საწინააღმდეგოდ გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელიც სისხლის ღვრით დასრულდა. დემონსტრაცია გამოიწვია ტრამვაის მოსამსახურეთა გაფიცვის გახანგრძლივებამ. ხალხმა თავდაყირა გადმოატრიალა ტრამვაის ვაგონები. მოსამსახურეების მოსაშველებლად მოვიდნენ ჯოხებით და მალაყინებით შეიარაღებული ტრამვაის მუშები. ქალაქის სხვადასხვა ადგილას ნამდვილი ბრძოლა მოხდა. მცხოვრებლებმა გაიმარჯვეს. მოსამსახურეებმა ვაგონები დასტოვეს და შუადღეზე უკან დაიხიეს. ეს დემონსტრაცია იმით დასრულდა, რომ სოც. პარტიის პრეზიდიუმის შენობაზე ამართეს ეროვნული დროშა. შემდეგ დღეებში ქუჩებში წვრილი შეტაკებები ხდებოდა. სოციალისტი დეპუტატები ბრალს სდებენ მთავრობას, რომ მან არეულობის ჩასაქრობად შესაფერისი ზომები არ მიიღო. მუშათა კავშირების საბჭომ პროტესტის ნიშნად საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა. სოციალისტები პროტესტს მხარს უჭერენ და გაფიცვის წინააღმდეგ მიდიან. რომის არეულობა ტურინშიაც განმეორდა.

**იტალიის და საბერძნეთის უკმაყოფილება.**

პარიზიდან მოსული ცნობით ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დაგვიანება დოდეკანეზის საკითხში იტალიის კაბინეტის ახალმა პოზიციამ გამოიწვია. იტალიის მთავრობა ხელის მოწერის წინა დღეებში ხელშეკრულებაზე ხელს სრულიადაც არ აწერდა იმ მოსაზრებით, რომ იტალიამ მცირე აზიაში საკმაო კონცესიები ვერ მიიღო. ამის გამო საბერძნეთსაც არ უნდოდა ზავზე ხელის მოწერა და განაცხადა: სეპარატიულ ზავს დავდებთ ოსმალეთთანო. ამის შემდეგ ხელი მოაწერეს იტალია-საბერძნეთის ახალ შეთანხმებას.

# ახალი ამბები

დღეს. საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. სოც. დემ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის მორიგი სხდომა.

◆ გერმანიის დიპლომატიური წარმომადგენლის ჩამოსვლა. 10 აგვისტოს თარიღით დოქტორ ფონ-დრუფელისაგან შემდეგი ბარათია მიღებული გარეშე საქმეთა მინისტრის სახელზე: „მაქვს პატივი შეგატყობინო თქვენს აღმატებულებას, რომ დეპეშით 25 ივლისიდან ბერლინის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დანიშნული ვარ საქართველოს რესპუბლიკაში გერმანიის დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურათ. ჩემი მთავრობის რწმუნების ქაღალდი ფოსტით იქნება გამოგზავნილი, რომელსაც მიღებისათანავე დაუყონებლივ გადავცემ თქვენს აღმატებულებას. თანახმად ჩემდამი დაკისრებულ საქმეებისა, მე უკვე შევუდექი ჩემი მოვალეობის ასრულებას და გავხსენი კანცელარია პასკევიჩის ქუჩაზე № 14.

17 აგვისტოს კი სპარსეთის გენერალურ საკონსულოსაგან კავკასიაში მიღე- [illegible]

# ქრონიკა

[illegible]

# საქ. და რსპ. შერეული კომ. საზღ. გარანტიების შესახებ

[illegible]

# საბჭოთა რუსეთი და სომხეთი

[illegible]

მოსკოვიდან სიშორით და ტეხნიკური კავშირის უქონლობით ხსნის ჩემი მთავრობა იმ ფაქტს, რომ ეს შემთხვევები თქვენმა მთავრობამ არ უწყის.

მაგ. ზანგეზურის რაიონში ზემოთ ნაჩვენებ პარლამენტის წევრთა გარდა თქვენი ჯარების მიერ დახვრეტილია: კომისარი სისიანა ტერ-გაზარიანი, სასურსათო საქმეთა კომისარი გეგამიანი და საზოგადო მოღვაწენი პირსიანი, გალუსტიანი, ლანინიანცი, ტერ დავითიანი, გასპარ გალუსტიანი და სხვ. იმავე ჯარების მიერ დარბეულია ზანგეზურში 30-დე სომხური სოფელი. გადარჩენილი გლეხები მიიმალენ მეზობელ რაიონებში, სადაც ისინი ამ ჟამად ცას ქვეშ სცხოვრობენ.

ზანგეზურში ტყვიისმფრქვეველით დახვრეტილია დაშნაკციუტუნის პარტიის 15 წევრი და იმავე პარტიის საშუალო ორგანიზაცია, რომელშიაც შედიოდნენ ყმაწვილები და ქალიშვილები 12—14 წლ. ასეთივე ბედი ეწვია დაშნაკციუტუნის პარტიის ბევრ წევრს ყარაბახის რაიონში.

ჩემმა მთავრობამ კონსტატაცია უნდა გაუკეთოს იმ ფაქტს, რომ თქვენი აზრი, თითქოს სომხების დახვრეტა ზანგეზურში მომხდარიყოს იქ თქვენი ჯარების შესვლამდე, სინამდვილეს არ შეეფერება, ყველა ეს დახვრეტა მოხდა სწორედ თქვენი ჯარების ნაწილების ზანგეზურში ყოფნის დროს და რუსულ ენაზე შედგენილი ბრძანებები დახვრეტის შესახებ ხელმოწერილია საგანგებო რევოლიუციური კომიტეტის მიერ. მე ვაქცევ თქვენი მთავრობის ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ზანგეზურის რაიონი, სადაც, როგორც ზევით არის ნაჩვენები, მასსიური ხასიათი სომხების დახვრეტისა რომლის დროს ბავშვებიც კი არ იქნენ შეწყნარებულნი, მიყვანილ იქნა ტყვიისმფრქვეველის, როგორც დახვრეტის საშუალების ხმარებამდე, არასოდეს არ წარმოადგენდა შუა ადგილს სომხეთსა და ადერბეიჯანს შორის და თავის თავისუფლად არსებობის დროს არასოდეს არ იცოდა ის ქაოტიური მდგომარეობა, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ. რომ სომხების დახვრეტას ადგილი აქვს თვით ადერბეიჯანის ცენტრში, ამის ობიექტიურათ დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომელიც ოფიციალურად გამოცხადებულია „კომუნისტის“ 51 №-ში და რომელიც შეეხება ყარაბახში დაპატიმრებულ „დაშნაკციუტუნის“ პარტიის 13 წევრთა დახვრეტას, ამასვე ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ბაქოში დახვრეტილ იქნენ ტყვე-სომხები, რომლებიც ძალით იყვნენ სომხეთიდან ადერბეიჯანში გადაყვანილნი. ყველა ამ დახვრეტამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს სომხის ხალხში ღრმა აღელვების გრძნობა. სომხის ხალხისათვის, ნაკლებად გასაგებია თქვენი მითითება (რომელიც სინამდვილესაგან დაშორებულია) იმაზე, თითქოს კომუნისტების დევნა იყოს მიზეზი, რომელსაც შეუძლია ცუდი გავლენა მოახდინოს ამ ორ რესპუბლიკის—სომხეთის და რუსეთის ურთიერთობაზე.

სომხის ხალხის ბუნებრივ აღშფოთებას არასოდეს არ მიუღია ისეთი მკაცრი ფორმები, როგორიც მან მიიღო იმ ამბების გამო, რომელიც შეეხებოდა თქვენი ჯარების მიერ ჩადენილ სისასტიკეს—სომეხ მოღვაწეების მასიურ დახვრეტას.

სომეხ მოღვაწეთა განუწყვეტელ დახვრეტის გამო სომხის ხალხის საზოგადოებრივი სინდისი ძლიერ აღშფოთებულია და მას ვერ დააკმაყოფილებს ფორმალური დაყრდნობა „ქაოტიურ მდგომარეობაზე“, რომელიც თითქოს გამეფებულიყოს სომხეთის მეზობელ რაიონებში და რომელიც თითქოს მიზეზი იყოს ზემოთ ნაჩვენებ დახვრეტისა.

სომხის ხალხი ყოველთვის იშვიათი მეგობრული გრძნობით ეპყრობოდა რუსეთის ხალხს და ამ ჟამათაც მისი სურვილია კეთილმეზობლური განწყობილების დამყარება ამ ორ რესპუბლიკის შორის. მაგრამ სომხის ხალხს უფლება აქვს მოითხოვოს, დაუყონებლივ შეჩერება სომეხ მოღვაწეთა დახვრეტის და სასტიკ პასუხისგებაში მიცემა ამ დახვრეტაში დამნაშავეებისა. მხოლოდ ამით შეიძლება კანონიერი დაკმაყოფილება სომხის ხალხის აღშფოთებული გრძნობისა.

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **ოჰანჯანიანი.**

# რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირთა მიმართ

ამხანაგებო!

ფოთის ნავთსადგურის მუშათა კავშირმა ჩაუყარა საძირკველი მუშათა სახლს, რაც ფრიად სასურველი და სასიამოვნო მოვლენაა ჩვენს მუშათა ცხოვ-ცხოვრებაში.

ეს მაგალითი ნიშანია იმისი, რომ საქართველოს პროლეტარიატი გამოვიდა ოპეკიდან, ის დადგა საკუთარ ფეხზე და შეუდგა საკუთარი ბედის გამოჭედვას. ის დადგა აღმშენებლობითი გზაზე.

ბრძოლა და თვითცნობიერება, აი დევიზი, რომლითაც ის მედგრათ მიაბიჯებს წინ სოციალიზმისაკენ.

ამხანაგებო! მიბაძეთ მათ, შეუდექით თქვენც თქვენი საკუთარი კერის აშენება-აღორძინებას, დაეხმარეთ ფოთელ ამხანაგებს, ხელი შეუწყვეთ მათ სიმპატიური მიზნის განხორციელებაში, აღმოუჩინეთ მათ ყოველგვარი დახმარება. აღმასრულებელი კომიტეტი იმედოვნებს, რომ თქვენი დახმარებით ფოთელი ამხანაგების საქმე დაგვირგვინდება ისე ბრწყინვალეთ, როგორც დაგვირგვინდა თფილისის ნაძალადეველი ამხანაგების საქმე, რომ ქვეყნიერების ამშენებელი და გამამდიდრებელი პროლეტარიატი შესძლებს საკუთარი ოფლითა და სისხლით ააშენოს თავისი კულტურულად აღმზრდელი და გამთვითცნობიერებელი სასახლეები.

დაეხმარეთ ამხანაგებო ფოთელებს!

გაუმარჯოს პროლეტარულ სოლიდარობა.

**საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.**

# პროფესიონალურ კავშირებში

**მუშათა დელეგაცია.**

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის 17 აპრილის სხდომაზე დაამტკიცა მანდატები რუსეთში გასაგზავნ დელეგაციის წევრებისა გლეხებიდან: დასავლეთ საქართველოდან ამხ. სევ. ხვიჩია, აღმოსავლეთიდან—ამხ. არჩილ არავიაშვილი.

დადგენილია შუამდგომლობის აღძვრა შრომის სამინისტროში, რათა დელეგაციის წევრები განთავისუფლებული იქმნენ დამქირავებლების მიერ განუსაზღვრელი ვადით სამუშაოდან იმ პირობით, რომ მათ შეენახებათ ადგილი და სამუშაო ხელფასი.

**დასავლეთ საქართველოს ხაზინებში მოსამსახურეთა კავშირი.**

აღმას. კომ-მა დაადგინა მიჰმართოს ფინანსთა სამინისტროს განმარტებისათვის იმის გამო, თუ რა არის დასავლეთ საქართველოს ხაზინებში მოსამსახურეების კავშირის შუამდგომლობის უყურადღებოთ დატოვების მიზეზი, მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ.

**არტელების პროფესიონალურ კავშირათ მოწყობის შესახებ.**

ბათომის შემოერთების შემდეგ მთავრობამ წინადადება მისცა საბაჟოებთან არსებულ შრომის არტელს, თავისი მოქმედება ბათომზედაც გაევრცელებინათ. ბათომის ნავთსადგურის მუშების პროფესიონალურმა კავშირმა სურვილი გამოსთქვა თვითონ იკისრონ ბათომის საბაჟოში საქონლის გადატვირთვა. ამის გამო აღიძრა პრინციპიალური საკითხი, შეუძლია თუ არა შრომის არტელს მოაწყოს პროფესიონალური კავშირი. აღმასრულებელმა კომიტეტმა, სადაც შევიდა გადასაჭრელათ ეს საკითხი, დაადგინა ამ პრინციპიალური საკითხის განხილვა გადადოს შემდეგ სხდომისთვის, ხოლო რაც შეეხება კონკრეტიულ საკითხს—ბათომის საბაჟოს შესახებ, ის აღ-მა კომ-მა იცნო თავის კომპეტენციის გარეშე, იმიტომ რომ, როგორც გამოირკვა, საბაჟოებთან არსებული შრომის არტელი არის მწარმოებელთა არტელი.

# რკინის გზაზე

**შტატის შემცირების გამო რკინის გზაზე.**

რადგან რკინის გზაზე სატრანზიტო მატარებლების მიმოსვლა შემცირდა და გზის შემოსავალმა ძლიერ მოიკლო, ამიტომ ის დიდი ხარჯები, რომელიც არსებული მუშა მოსამსახურეთა შტატის შენახვაზე იხარჯებოდა, ცოტად თუ ბევრად უნდა შემცირებულიყო. ამიტომ ვინმე შტატ გარეშე უადგილოდ უნდა დარჩენილიყო და აი, ამან გამოიწვია, რომ ამ ჟამად, ბევრი შტატს გარეშე დარჩენილი რკინის გზელის ცოლშვილი თვალცრემლიანი ზის და იმედ დაკარგული შეყურებს ცას მომავალი შიმშილის საშიშროების მოლოდინში.

ყველასათვის აშკარაა, თუ რა ძნელი ცხოვრების პირობებში ვიმყოფებით არსებული სიძვირის გამო და რამდენად ძნელია დღევანდელ პირობებში უმუშევრად დარჩენა და ისიც იმ რკინის გზელისათვის, რომელსაც მთელი თავისი ახალგაზრდობა რკინის გზის სამსახურისთვის შეუწირავს იმ იმედით, რომ სანამ ის პატიოსნად იმსახურებდა, მას დღიური საარსებო პური არ მოესპობოდა. ოცი ოცდა ხუთი წლის სამსახურის განმავლობაში, მას სამსახურს გარეშე არავითარი კერძო საცხოვრებელი წყარო არ შეუქმნია და დღეს ის რჩება სრულიად ულუკმა პუროდ.

ამ მხრივ უფრო ბედნიერნი არიან რკინის გზის ის ახალი მოსამსახურენი, რომელთაც რკინის გზის სამსახურში, შედარებით ცოტა დრო და ჯანმრთელობა დაუკარგავთ.

შტატს გარეშე დარჩენილნი რკინის გზელნი მთელს რიგს სპეკულიანტებისას და ქუჩაში მოსიარულე მშიერი გუნდებისას შეგვიქმნიან იმ დროს, როდესაც ჩვენ სპეკულიაციასთან და მათხოვრობასთან ვიბრძვით და მათხოვრობის მოსასპობად სოციალურ დახმარებას ვაწყობთ. ყოველ შემთხვევაში, სამსახურიდგან შტატს გარეშე უნდა დარჩნენ ის მოსამსახურენი, რომელთაც რაიმე დანაშაული მიუძღვით სამშობლოსა და სამსახურის წინაშე და არა ის ძველი მოსამსახურენი, რომელთაც, როგორც რწმენით, აგრეთვე სამსახურის ცოდნით და მისი სინდისიერად ასრულებით, მხოლოდ სარგებლობა მოქონდათ სახელმწიფოსათვის.

გარდა ამისა შტატის შემცირების დროს საჭიროა მიღებული იქნას მხედველობაში ქონებრივი მხარეც შტატ გარეშე დარჩენილი მოსამსახურისა. ზოგიერთ მოსამსახურეს აქვს ოჯახი, ანუ სხვა საცხოვრებელი კერძო წყარო, რომელსაც შეეძლებოდა სამსახურს გარეშე შეენახა თავის ცოლშვილი, ხშირად ერთი და იმავე ოჯახიდან რამდენიმე ოჯახის წევრი მსახურებს სხვა და სხვა დაწესებულებაში და ზოგს კი არც ერთს ეძლევა სამსახურის საშუალება. ვიმედოვნებთ, რომ მმართველი წრეები ჩვენი მიიღებენ საჭირო ზომებს, რათა უმუშევართა რიცხვი მოისპოს და შტატის შემცირება, გამოწვეული აუცილებლობით, იქნეს გატარებული სათანადო სამართლიანობის და მიხედვით.

**რკინისგზელი.**

# ს. დ.-პარტიაში

ბათომი. 3 აგვისტოს შესდგა კრება 1 რაიონის მე 7 ცეხის ს. ს. დ. მ. პარტიისა. კრებას დაესწრო წევრების უმრავლესობა, თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა სარდიონ დოლიძე, მდივნათ ქრისტეფორე ფიფია. დღის წესრიგში სდგას შემდეგი: 1) 8 საათის სამუშაო დღის დეკრეტის დარღვევა. 2) მუშათა კლუბი, 3) ახალი პრეზიდიუმის არჩევნები.

8 საათის დეკრეტის დარღვევის შესახებ ერთს ამხანაგს მოყავს საბუთი ბათომის სახალხო სადგურიდან და აღნიშნავს, რომ კანონი დაურღვევიათ და სამის მაგიერ ორი მუშისათვის დაუვალებიათ 12 საათის სამუშაო დრო. გაითვალისწინა რა კრებამ 8 საათის სამუშაო დღის დეკრეტის დარღვევა, დაადგინა: ვიღებთ რა მხედველობაში, რომ 8 საათის სამუშაო დრო დიდი ბრძოლის ნაყოფია და მას მუშათა კლასისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ჩვენ მუშები არავის მივცემთ ნებას, რომ ის სათამაშო საგნათ გაიხადოს. ვავალებთ რაიონულ კოლექტივს აღძრას ეს კითხვა და კანონის დამრღვევი იქნას მიცემული პასუხისგებაში. სახალხო სადგურში კი, მოვითხოვთ საჩქაროთ იქნას აღდგენილი 8 საათის სამუშაო დრო.

მუშათა კლუბის შესახებ კრებამ დაადგინა: აუცილებლათ ახლო მომავალში რაიონულმა კოლექტივმა გამონახოს კლუბისთვის შესაფერი შენობა და გახსნას.

ახალ პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: 1) არსენ ვაჩაძე. 2) ლავრენტი დოლიძე. 3) სარდიონ დოლიძე. 4) სევასტი თავართქილაძე. 5) რაფიელ ანთაძე 6) ალექსანდრე გოგუაძე. 7) ძ. ჯან—შვილი.

მ. იოფონიშვილი.

# მუშათა შორის

**ფოსტა-ტელეგრაფის ცხოვრებიდან.** ჩვენში ნაკლებათ იქნება ისეთი ჩამორჩეილი მოსამსახურენი სხვა დაწესებულებებში, როგორც არიან ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის მოსამსახურენი.

ამ უწყების მოსამსახურენი რევოლიუციის შემდეგ შეერთდენ ერთს ორგანიზაციაში და აღმასრულებელი კომიტეტებით მოყავდათ სისრულეში ესა თუ ის დადგენილებანი. დრონი იცვალენ. საქართველომ მიიღო თავისი დამოუკიდებლობა. აღმასრულებელი კომიტეტები გაუქმდენ და მათ ალაგას შესდგა ერთი მთლიანი ფ.-ტელეგრაფის და ტელეფონის მოსამსახურეების ცენტრალური გამგეობა და სარაიონო გამგეობები. ამ ორგანოების დაარსების დროს ფ. ტ. და ტელ. მოსამსახურეების იმედი იყო მათზე დამყარებული, განსაკუთრებით ეკონომიური მხრის გაუმჯობესობაზე, მაგრამ ძალზე მოტყუებული დარჩნენ. პირველ ცენტრალურ გამგეობის დაარსებიდან დღემდის ორ ჯგუფთა შორის კინკლაობის მეტი არ ღირსებია მოსამსახურეებს, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ისედაც დაქსაქსულ მოსამსახურეებს.

ამ ორგანოების უმოქმედობის გამო ხშირად ხდება სეპარატიული გამოსვლები. ძლიერ გაწვავდა ამ ბოლო დროს თფილისის ფ. ტ. და ტელეფონის მოსამსახურეების ნივთიერი მდგომარეობა რადგანაც შეუპოვარი სიძვირე უშველებელი ნაბიჯებით წინ მიექანება. და აი, როდესაც საქ. ფ. ტ. ცენტრალური და სარაიონო გამგეობები ყურს აღარ უგდებენ, ამან უკვე გამოიღო ერთი სამწუხარო ნაყოფი, და ისედაც დაქსაქსული და გულგატეხილი მოსამსახურენი, გაიყვნენ ორ ნაწილად. დაბალ მოსამსახურეებმა: ფოსტალიონებმა, დეპეშების დამტარებლებმა და დარაჯებმა დაარსეს „დაბალ მოსამსახურეთა სექცია“ და თავიანთი უწყო მდგომარეობის გაუმჯობესობას შეუდგნენ. ამავე გზას დაადგნენ ტელეფონის ქსელის მოსამსახურეები.

ჩვენ უწყებას სხვათაშორის აქვს კოოპერატივი და ფურნე. ეს კოოპერატივი მხოლოდ სახელის მატარებელია, ისე კი ნამდვილი სპეკულიაციის ბუდეა, სადაც ამ ბოლო დროს იყიდება ფართლეულობა და სხვა საგნები, რომლებიც მოაქვთ კერძო ვაჭრებისაგან და %-ულ მოგებით ასაღებენ ისედაც გაღატაკებულ მოსამსახურეებში. არსებობს აგრეთვე ფურნე. ივნისში, ცენტრალური გამგეობის წევრების მიერ იქნა დაჭერილი 10 ლიტრამდე თეთრი ფქვილი, ვითომ მოპარული ფურნის გამგის მიერ და კერძო სოფს მეფურნეზე მიყიდული. ამ საქმემ დიდი აურზაური ასტეხა და სინამდვილის გამოსარკვევათ სისხლის სასამართლოს მილიციაც ჩერია. რითი გათავდა ეს საქმე და რა მსვლელობა მიიღო დღემდის გამოურკვეველია, რაც, უფრო, ეჭვს ბადებს მოსამსახურეებში. რას ნიშნავს ასეთი საქმის მიფუჩეჩება, და რატომ გჩუმებულან ან ერთი და ან მეორე მხარე?

საქმის დამწყებლებმა, საქმის გათავებაც უნდა იცოდნენ. და უნდა იქმნეს მოსპობილი არა სასურველი მითქმა მოთქმა ფ. ტ. და ტელეფონის მოსამსახურეებში.

საქ. ფურული.

# პროვინცია

**სოფ. შილდა** (თელავის მაზრა) ამ სოფელში მოსახლეობს 1500 კომლამდე, ძალიან აწუხებთ უფოსტობა, უნდა იარონ სოფ. ენისელში, სადაც არის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა. ეს სოფელი შილდაზე 4—5 ვერსით დაშორებულია და თუ უნდათ აუცილებლათ დანიშნულ ალაგს მივიდეს, ამანათი ან და წერილი თავის ხელით უნდა გადაიტანოს, აგრეთვე ენისელშივე მოიკითხოს წერილი კვირაში სამჯერ მაინც. თუ ჰყავს ვინმე ჯარის კაცათ წასული. შილდაში ეს 8 თვეც იქნება, რაც ტელეფონი გაკეთდა და აგრეთვე ტელეგრაფის მავთული გააბეს, ფოსტისთვის შენობაც მზათ იყო. ხალხიც ეხვეწებოდა ჩვენი თემის გამგეობას: გაგვიმართეთ ფოსტაო. გამგეობა გაზაფხულისთვის დაპირდა ფოსტის გახსნას. მაგრამ ზაფხულიც გადის და შილდელებს აი ფოსტა არ ეღირსათ. საჭიროა შილდელებს ყურადღება მიაქციოს მთავრობამ და ეცადნენ მოაწყონ ფოსტა, თორემ შილდელებს ჰგონიათ მთავრობის ბრალი იყოს უფოსტობა და არა გამგეობის უყურადღებობისა.

თელაველი.

—

**სენაკის მაზრის** მდგომარეობა ამჟამად დამაფიქრებელია. დამშეული ხალხი ასობით სამაზრო ერობის სამმართველოსთან იყრის ყოველდღე თავს. გასულ კვირას ერთი ვაგონი სიმინდი გაუნაწილეს უფასო გაჭირვებულ თემების გამგეობებს, მარა ეს წვეთია ზღვაში. სამაზრო ერობის გამგეობა მთავრობას დეპეშებს დეპეშებზე უგზავნის, მარა რაღაც მიზეზით სიმინდი იგვიანებს და ხალხი კი ვერ ითმენს, ახალი მოსავლის მოწევამდე ერთი თვე დ რჩა.

სამაზრო ერობის გამგეობამ სტამბის შესაძენათ გადადებული თანხა სიმინდის სასყიდლათ დახარჯა, ვინაიდან სხვა წყარო არ ქონდა ამ დროებით, გამგეობა ხსნის წიგნის მაღაზიას და სტამბის გახსნა კი შემდეგისათვის გადასდო, სტამბის უქონლობა ძვირი ჯდება.

ერობის სტატისტიკურ განყოფილების გამოკვლევით მაზრის ფარგლებში მცხოვრებთა რიცხვი ასეთია: მამათა სქესი 64,923 დედათ 60602—სულ 125,525 სული.

ტელეფონის ქსელით სენაკი შეერთებულია შემდეგ ადგილებთან: ქუთაისი, ზუგდიდი, სამტრედია, ხონი, მარტვილი, ხობი, ძველი სენაკი, აბაშა, ბანძა, ნოქალაქევი, თეკლათი, ლეხაინდრავო, უშაფათი, ფოცხო, ლეძაძამე, აბედათი, კვათანა, სუჯუნა, ნოსირი, სამიქაო, ნაესაკოვე, მარანი, ონტოფო, სეფიეთი, ნაგვაზოვე, ნახუნოვე, თამაკონი, კიწია ზეთლემი, კოტიანეთი, ნოსირი, ქვალთნი ხეთა ხორგა 1, ხორგა 2, ნოქალაქევის აბანო. თვით სენაკში ოცამდე აბონენტია, დაბა აბაშაში შვიდი. გარდა ამისა ამ მოკლე ხანში კინჩხის თემთანაც შეერთება, მზადდება სალხინოს და კურზუსთვის მასალები.

ერობის საადგილმამულო განყოფილებამ წრეულს იჯარით გასცა აგარაკი „ჩეგოლა“ და „ღებარდე“ 200,000 მანეთად, მოიჯარადრეები პირობის ძალით ვერ იქმნა შეზღუდული ისე, როგორც საჭირო იყო. მოაგარაკენი უზომოთ დაბეგრეს მოიჯარადრეებმა კარვების ქირით და საჭიროა მომავალი წლისთვის საქმის სხვაგვარად მოწყობა, იგივე განყოფილება ყურადღებას აქცევს ნოქალაქევის აბანოს.

სენაკის სამაზრო ადმინისტრაციას დღეს უდგას სათავეში ენერგიული პიროვნება, სამაგალითოთ დააყენა მან მაზრის ფარგლებში მინდობილ საქმე.

სასურსათო განყოფილებას შესაფერი გამგე ვერა ჰყავს, ასეთივე ბედშია ტეხნიკური განყოფილებაც; განათლების განყოფილებას მოსტაცა ბედმა აკაკი ფიჩხაიას სახით (გადაყვანილ იქნა სამურზაყანოს ერობის თავმჯდომარედ) საქმის მოყვარე ადამიანი. მის დაწყებულ მუშაობას გაგრძელება სჭირია; დღეს მაზრაში 150 პირველ დაწყებითი, უმაღლესი დაწყებითი და სხ. ტიპის სკოლებია, დაახლოებით 15,000 მოსწავლეებით.

თავმჯდომარის მხრივ სენაკის მაზრა დაობლებულია (ი. მალანია დაინიშნა მიწად მოქმედების მინისტრის ამხანაგათ) მაზრას კი ხელმძღვანელი სჭირია. სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა ამ ერთ თვეში დაამზადებს წლიურ ანგარიშებს და მაშინ შესდგება მორიგი ყრილობა ხმოსნებისა, სადაც საზოგადოების არჩეული ხმოსნები და მათი არჩეული გამგეობა პირის პირ შეხვდებიან ერთმანეთს.

ვასო გადილია.

— —

**საჯავახო, ტობანიერი, ვანი.** 1 აგვისტოს სოფელ საჯავახოში ჩამოვიდა დამფ. კრების წევრი პ. წულაია. ადგილობრივ თემის გამგეობამ მოიწვია საზოგადო კრება, რომელსაც დეპუტატმა გაუკეთა მოხსენება. ჩვენი რესპუბლიკის საგარეო და საშინაო მდგომარეობაზე მოხსენების შემდეგ იყო სხვადასხვა შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელმა გასცა შესაფერი პასუხი. მოხსენებით დამსწრენი ძლიერ კმაყოფილნი დარჩნენ და ერთხმათ მიიღეს შესაფერი რეზოლიუცია. აქედან დამფ. კრების წევრმა გამოიარა ტობანიერში, სადაც აგრეთვე გააკეთა მოხსენება ახლათ გახსნილ სახალხო უნივერსიტეტში. ხალხი მრავალი დაესწრო. მეორე დღეს დეპუტატი მივიდა ვანში. ადგილობრივ თემის გამგეობამ გამართა კრება. პ. წულაიამ გააკეთა მოხსენება ჩვენი რესპუბლიკის მდგომარეობაზე და დამფუძნებელ კრების მუშაობის შესახებ. აქაც იყო შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელმა გასცა სათანადო პასუხი. სამივე ალაგას მოახსენებდნენ სიმინდის უქონლობას. დეპუტატმა აღუთქვა შესაძლებლობის ფარგლებში თავის მხრით დახმარება. დამფ. კრების წევრის ჩამოსვლამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

მ. ქ. ბანძაძე.

## ზესტაფონის კოოპერატიული კავშირის ირგვლივ*)

ბატონი ა. საყვარელიძე და მისი დამქაში ინსტრუქტორი არ ცხრებიან, სჩანს ჩემი სიჩუმე მათ წერილის შესახებ ცუდათ გაუგიათ. სამწუხაროა, როდესაც საზოგადო დაწესებულებას პირადი ანგარიშების გასასწორებელ საგნათ აქცევენ, მაგრამ რა გაეწყობა, ქაღალდი და მელანი ყოველივეს აიტანს.

ბ. საყვარელიძე თავისი მკარნახებლითურთ მეტად შორს წასულან. იმ მშრალი მასალის მაგიერ, რომელიც მათ შარშან მიაწოდეს საზოგადოებას „სახალხო საქმის“ ფურცლებზედვე, მათ ფანტაზიისათვის მიუმართავთ და ისეთი რამეები შეუთხზავთ, რომელზედაც პასუხი მხოლოდ სასამართლომ უნდა აგებინოს. ჩვენ იქ გავსწორდებით; გაზეთები, უეჭველია მხოლოდ მის შედეგს გაიგებენ. მე მსურს აქ მკითხველის ყურადღება მივაქციო ბ. აპექსის წერილის საზოგადო ხასიათს, საქმე შეეხება ზესტაფონის კოოპერატიულ კავშირს. მართალია, ეს დაწესებულება გასული წლის იანვრიდან ითვლის თავის მოქმედებას, მაგრამ ოპერაციების გაცხოველება, ნამდვილი მოქმედება იწყება მხოლოდ მაისში. ბუხჰალტერი კავშირს თებერვლიდან ჰყავდა აყვანილი, მაგრამ ის „ფორმის“ წიგნების დაბეჭდვამდე, ხელსაც არ ანძრევდა. ოპერაციები ტარდებოდა უბრალო ქაღალდებზედ, დღიურებში და სხვა. თანაც ყოველივე ეს უხდებოდა ერთ გამგეობის წევრს და სამ თანამშრომელთ, რადგანაც დანარჩენი ორი წევრი ერობაში ვმუშაობდით. თანაც კავშირს რადგანაც თავისი თანხა 2—3 ათას მანეთზედ მეტი ქონდა იძულებული იყო საქონელი ადგილობრივი თვითმართველობიდან მიეღო. ასეთები გახლდათ ერობა და ქალაქი. სხვა დაწესებულებისა ან კერძო პირისაგან, გარდა ერთი შემთხვევის—ცენტრალური კავშირისაგან, გამგეობას საქონელი არ ჰქონია მიღებული. რა გასაკვირია, რომ თვითმართველობები გაახაწილებინებდნენ კავშირს ყოველსავე მათ მიერ მიცემულ საქონელს თავის სურვილებისამებრ, და ხშირად ისეთ პირებ შორისაც, რომლებსაც კოოპერაციასთან არაფერიც არა აქვთ საერთო. კავშირს დაარსებიდანვე დაჰყვა დევნა უკმაყოფილო პირებისაგან. მათ შეადგა ერთი ინსტრუქტორთაგანი, რომელიც საქმეს არ აკეთებდა, საქმის არა მცოდნე ბუხგალტერი და ყველა ეს პირები ხელის შეწყობის მაგიერ ეწეოდენ სასტიკ აგიტაციას კავშირის წინააღმდეგ. ზოგიერთი მათგანი იმასაც კი შეეცადენ, რომ კავშირი **სრულიად დახურულიყო** და ერობასთან დაარსებულიყო კოოპერატიული განყოფილება. ჩვენ ამის უტყუარი ფაქტები გვაქვს. მათმა მოქმედებამ შექმნა ერთგვარი უკმაყოფილება საზოგადოებაში. ივნისში საზოგადო კრებაზედ, სადაც გამგეობამ დაუფარავად აღიარა, რომ დღემდის ანგარიშების საქმე სათანადოთ მოწყობილი არ ქონდათ, რომ მხოლოდ ამ ჟამად ქონდათ მიღებული ყველა საჭირო წიგნები და ცოტა ხანში ყოველივეს მოაწესრიგებდენ. კრებამ ახალი სარევიზიო კომისია აირჩია. ვაცხადებთ, რომ კომისიაში აშკარად დაინტერესებული პირები მოხვდენ. მჯამდა, რომ კავშირს საბრძოლველ იარაღად გახდას ვერავინ გაუბედავდა და პროტესტიც არ გამიცხადებია. პირადმა მიდრეკილებამ მაშინვე იჩინა თავი. გამგეობამ სთხოვა კომისიას მიეცათ მათთვის დრო, 10—14 დღე, სანამ ყოველივეს ახლად შეძენილ წიგნებში გადაიტანდა ბუხგალტერი, გამოიყვანდა საბოლო ბალანსს და შემდეგ შესდგომოდა კომისია შემოწმებას. რაც შეეხებოდა საქონლის აღწერას და კასის შემოწმებას, ეს გამგეობას შესაძლებლათ მიაჩნდა ყოველთვის. ვფიქრობ, რომ დაწესებულების მდგომარეობით ობიექტიურად დაინტერესებული კომისია სხვა ნაირად არც კი მოიქცეოდა. ჩვენმა კომისიამ კი ეს არ მოისურვა, ის გამგეობასთან ერთად შეუდგა ანგარიშების მოგვარებას. რაც გინდ რიგზე არ უნდა იყოს დაწყობილი დაწესებულების ანგარიში, შეუძლებელია ერთად საბოლოო სწორი ბალანსის მიღება, მით უმეტეს, სადაც ანგარიშები ახლად ეწყობა. ამან გამოიწვია ბალანსის სხვადასხვაობა, რომელიც აღნიშნულია სარევიზიო კომისიის მე-13-ე მუხლში. ასეთი შემთხვევის ბოროტ-მოქმედებათ მონათვლა რომ სწორი იყოს, ეხლა ხომ თითქმის ყველა დაწესებულების ხელმძღვანელნი ციხეში ისხდებიან. ან და მეორე შემთხვევა: (მუხ. 12) ადგილობრივმა თვითმართველობებმა გადასცეს კავშირს მცხოვრებთა დასარიგებლათ შაქარი, რომელიც თვითმართველობისავე ჩეკებით რიგდებოდა. ამ ჩეკებს კავშირი ცალკე ფურცლებში სწერავდა, რომელსაც დღიურებს ეძახდენ. მთელ 1827 ფუთ შაქარში **დღიურებში არ აღმოჩნდა** გატარებული 98 ფუთი შაქარი (ისიც შეცდომით, როგორც ეს საზოგადო კრებაზედ აიხსნა კიდეც (მაგრამ ეს შაქარი **გ ხავალში** არის გატარებული და ხვედრი **ფულიც** მიღებულია კავშირის მიერ. არ სჩანს მხოლოდ ვის მიყიდეს. ნუ თუ ეს არის ბოროტმოქმედება, „საქონლისა და ფულის მითვისება“ ამისავე დასამტკიცებლად ბ. საყვარელიძეს კიდევ მოყავს მუხ. 9 და 10, სადაც ნავთზე და რკინაზეა ლაპარაკი, გამგეობამ, როგორც კომისიას, აგრეთვე საზოგადო კრებას აუხსნა, რომ ნავთი წვრილ-წვრილობით იყიდებოდა იშვიათად და მისი გამორკვევა, თუ რას შეადგენდა 5 მანეთის ფუთზე განსხვავება შრომადაც არ ღირდა, მით უმეტეს ეს არ იყო კერძო პირიდან შეთანხმების პირობაში, რომელსაც ნავთს ვაყიდვინებდით და ამიტომ გამგეობამ ეს მცირედი განსხვავება მის სასარგებლოდ დასტოვა. რაც შეეხება რკინას და მავთულს, ეხლაც გაჰრით ვაცხადებთ რომ კავშირს 200—300 ფუთი მეტი შეძენილი არც ქონებია (ეს ხომ მთავრობის დაწესებულებიდანაა როგორც სხვა საქონელი და აბა როგორ შეიძლებოდა მისი დაკლება ან მომატება). მხოლოდ თუ საწყობში აღმოჩნდა ზედმეტი საქონელი, ეს ადვილი წარმოსადგენია თუ მიიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ კავშირს როგორც მოგახსენეთ იმ თავითვე არ ქონდა თავისი საწყობი და საქონელი სხვა დაწესებულების საწყობში ეწყო. (მუხ. 7.) კიდევ ერთი ბრალდება მუხ. 8. რევიზიის დროს საწყობში უვარგისი სასწორი აღმოჩნდა რა გნებავთ ამით სთქვათ, ის რომ გამგეობა წონაშიც ატყუებდა? მერმე, მოგეხსენებათ თუ თუ არა, რომ ძველ გამგეობას ეს სასწორი როგორც საქონელი ისე ქონდა მიღებული, მის შემდეგ კი ახალი გამგეობა ამ სასწორით ყიდდა საქონელს, ყიდის დღესაც, თუ სწორი არ იყო სად ბრძანდებოდით „სიმართლის მდევარნო“, რატომ ამ მიიღებთ ზომებს. იქნებ გაასწორეს, მაშინ წარმოადგინეთ საბუთი „სასწორთა პალატის“, ისე ხომ მჭედლის მიერ გასწორებულ სასწორზედ ლაპარაკი სასაცილოა. მაშ რაშია საქმე? (საქმე იმაშია, რომ, ბატონო აპექსი, კომპ. განაწყენებული ბრძანდებით ჩემზედ მის შემდეგ, რაც ჩემის წინადადებით ქალაქის საბჭომ ჩამოგართვით საპნის ქონი, რომელიც თქვენ არა საკადრისი მახინაციით მიიღეთ ქალაქის სახელით და ვერ არჩევთ ჭეშმარიტებას, თანაც თქვენი ქვენა მიზნების მისაღწევად ბოროტათ ხმარობთ ფაქტებს) ან რომ არ იყოს თქვენ მიხვდებოდით ან მიგახვედრებდათ თქვენი მკარნახებელი-ინსტრუქტორი, რომელზედაც თქვენ ურწმუნო თომასავით ამბობთ უარს, რომ მიზეზი კავშირის საქმეების არევ-დარევისა, აუცილებელი დეფექტებისა, რაც მე ყოველთვის და ყველგან მიღიარებია, გახლდათ გარდა საქმის დასაწყისისა—იმაში, რომ კავშირს ყავდა ყოვლად დაუდევარი, უცოდინარო და მეტი რომ არა ვსთქვათ, უვარგისი ბუხგალტერი. საბუთი გნებავთ მიბრძანდით და ნახეთ კავშირში. ძველი გამგეობის შემდეგ—სექტემბრიდან ბუხგალტერს ანგარიშები სრულიად არეული აქვს. არ აქვს არც ერთი თვის ბალანსი და წლის ბოლოს ბალანსი გამოყვანილი აქვს სპეციალურად მოწვეულ გარეშე პირს. რაც შეეხება მიმდინარე წელს, იანვრიდან 1 მაისამდე (სანამდის არ გამოიცვალა) სრულებითაც არ იყო ნაწარმოები ჟურნალი, მთავარი და მეორე ხარისხის საბუგალტერო წიგნები. ამან გამოიწვია არა საპატიებელი არევ-დარევა და ვაჲ უბედურებავ—რომ ეხლაც, აწყობილი საქმის შემდეგ 1 მაისისთვის კავშირის მდგომარეობის გამოსარკვევად საჭირო შეიქნა კვლავ ინვენტარული ბალანსი შემდგარიყო, რაც იკისრა გარეშე პირმა, რადგანაც კავშირის ბუხგალტერმა პლატონ საყვარელიძემ ბევრი იმტვრია თავი, მაგრამ. ვერ შესძლო ამის გაკეთება,—ცხადია, ამ პროცესის დროს, ინვენტარული ბალანსის შედგენისას, ბევრს შეუსაბამობას ქონდა ადგილი, ხან კასას აკლდა, ხან საქონელს და სხვა, მაგრამ სანამ საბოლოვოდ არ იქნება ყოველივე დადასტურებული, აბა რომელ ჭკუად მყოფელს მოუვა აზრად ვინმეს ბოროტმოქმედება შესწამოს. თქვენ ბ-ნო აპექსი ხშირად გაქვთ სასამართლოებში საქმე და კარგათ უნდა იცოდეთ ეს და თუ არ იცით დროა გაიცოდინონ. დასასრულ თქვენ წერილში ნაცარქექიას ბაქიაობდით იჩემებთ სიმართლის მეტოქეობას და რაინდობას. თუ ეს მართალია,—სად ბრძანდებოდით აბა წლის განმავლობაში როდესაც კოოპ. „ერთობის“ გამგეობის ერთ-ერთი წევრი კავშირის ბუხგალტერი პლ. საყვარელიძე სისტემატიურად არაფერს აკეთებდა და ამისთვის ყოველ თვეში ჯამაგირს ღებულობდა? სად ბრძანდებოდით, როდესაც შარშანდელი ანგარიშების განხილვის დროს ნებით თუ უნებლიეთ ინსტრუქტ. მიქელაძემ დაგვატყვილა და 10000 მანეთი ზედმეტი მოგება გვიჩვენა! სად ბრძანდებოდით ამ კოოპერატივის საზოგადო კრებებზედ; თქვენ ხომ იმის წევრი ხართ, თვით კავშირის საზოგადო კრებები როგორ გამოგეპარათ. თქვენ ხომ იქ ბევრ ახალ პანამებს აღმოაჩენდით, დღეს კი, როგორც გეტყობათ, კავშირის მდგომარეობის ვითომდა არაფერი იცით. მე მგონია, რომ იცით, მაგრამ ეს თქვენ ნაკლებ გაინტერესებთ, რადგანაც იქ თქვენთვის არა სასიამოვნო პირნი აღარ იმყოფებიან. ერთი კი გამოგეპარათ,—თქვენთვის არა სასიამოვნო ძველი გამგეობის შემადგენლობა რწმუნებულთა ყრილობამ სარევიზიო კომისიის წევრებად დაასახელა და პირადათ თქვენი მონა-მორჩილი ამ ჟამად ამ კომისიის თავმჯდომარეთ ითვლება. როგორ მოხდა ეს, თუ თქვენ მართალი ხართ და რაიმე პირადი არ მისწრაფება გამოძრავებთ? კიდევ ერთი: ჩვენ დაუსჯელობის მიზეზად ბ. საყვარელიძე ასახელებს ჩემდამი შიშს, მოხათრებას, (ერობის ბატონ-პატრონობას) და მმართველი პარტიის წევრობას. ნუ თუ ბ. საყვარელიძის ოდენა გამბედაობა აღარ შესწევს ჩვენს საზოგადოებას? რაც შეეხება მმართველ პარტიის წევრობას, აქ ცხვირს იმტვრევს ბ. საყვარელიძე. ეს მმართველი პარტია ის პარტია გახლავთ, რომელიც არავის და არასოდეს ვინც არ უნდა იყოს ის, არ აპატიებს დანაშაულობას და სწორეთ თქვენზედ და სხვებზედაც უფრო ადრე ამ პარტიამ მიაქცია კავშირის ამბებს ყურადღება და არც არავის დაინდობდა, რომ იქ რაიმე სიყალბე და ბოროტ-მოქმედება აღმოეჩინა (იხ. საგ. კომ. დად. „ერთობა“ № 29), რაც შეეხება ერობის საქმეების ვითომდა უწესრიგობას, ამაზედ ტყუილად სწუხართ ბ. აპექსი, მას თქვენზედ უფრო კარგი დარაჯი ყავს და დეე თქვენი სამართალი თქვენვე დაგრჩეთ. ცილის წამებისთვის და დიფამაციისათვის კი ცხადია დაწესებულება თქვენს ადგილს გიჩვენებთ.

გ. ბუაჩიძე.

*) ამხ. კ. ბუაჩიძის წერილში მოყვანილ ფაქტებს რედაქცია აქვეყნებს შორაპნის სამაზრო სოც.-დემ. კომიტეტის სურვილის თანახმად. რედ.

## წერილი რედ. მიმართ

„კლდეში“ №№ 53 და 54 დაიბეჭდა ბ-ნი რ. გაბაშვილის წერილი, რომელშიაც ავტორი უზიარებს საზოგადოებას თავის შთაბეჭდილებას, სასამართლოში მიღებულს, მაღლაკელიძის საქმის გამო. რამდენიმე ადგილას ბ-ნი გაბაშვილი მიხსენიებს მეც და, სხვათა შორის, მოჰყავს ჩემი სიტყვები, როგორც მოწმის.

ვინაიდან სასამართლოში ჩემი ნათქვამი სწორედ ვერ არის მოყვანილი რ. გაბაშვილის მიერ, ამიტომ სისწორის აღსადგენად ვაცხადებ:

მე სასამართლოში გამოვთქვი დამცველების შეკითხვაზე ჩემი აზრი მაღლაკელიძეზე, როგორც სუსტ ადმინისტრატორზე, და არამ და არამც ეს არ მომიხსენებია საზოგადო აზრათ, მით უმეტეს, რასაკვირველია, შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამიშვილის აზრად.

კატეგორიულად ვაცხადებ, რომ არ მითქვამს სასამართლოში: ჩემი მოვალეობაა ყველა მოხელეზედ და მოქალაქეზედ უტყუარი ცნობა მივაწოდო მინისტრსო.

ემელიანე ლომთათიძე.

რედაქტორი ლევან ნათაძე.


# განცხადებანი

17 აგვისტოს ვორონცოვის ხიდიდან ალექსანდროვის ბაღამდის

## დაკარგე
## თფილისის ქალაქის სასურ. განყ. ბეჭედი

მნახველს ვთხოვ დაგვიბრუნოს, სასურსათო განყოფილებაში შტაბის ქუჩაზე პუშკინის ბაღის პირდაპირ ან მაცნობოს ტელეფონით № 11—43 აგენტს ნიკოლოზ ფირცხალაიშვილს. (2706—1—1)

## დაკარგე
## პარტიული წიგნაკი

მოცემული თფილისის ს. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონიდან, პირადობის მოწმობა მოცემული სახ. გვარდიის გარაჟიდან, იარაღის (ვინტოვკის და რევოლვერის) ტარების მოწმობა და რეგისტრაციის ბილეთი, რასაც ვაცხადებ გაუქმებულად.

ვასილ სტეფანეს ძე კობერიძე. (2706 1—1)

## სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
## მიხეილ გედევანიშვილისა

დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. (2458—თ.)

## ექიმი ივ. გოკიელი

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 14. სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საბავშვო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ჰოსპიტალი—ექიმი

## ი. გ. ქუთათელაძე

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვირის სასულე—მილის ავათმყოფობას ვქიმავ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმის

## ი. ა. ტერ-ოვაკუმოვი

გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან მიხეილის პრ. № 23 ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავათმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული ავათმყ. (გამწვავებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606“ და 914 შეშხაპუნებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ. (თ. 2577)

ექიმქა

## ნიკოლოზ მახვილაძე

განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 8—9-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (თ. 2528)

ოზურგეთში
ექიმი
## ს. ვ. აბაშიძე

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით, (გულის, ფილტვების და კუჭ-ნაწლევის) სიფილის შეხაპუნება „914 და 606“. ქ. სიამაშვილის სახლში. (თ. 2634.)

ექიმი
## ქ. გ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

ექიმი
## გ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი
## ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. (ცეცხლის მქრობელთა რაზმის ბინის ახლოს). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

დოქტორი
## გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი
## ე. ი. კალანდაძე

ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. (2446—თ.)

ექიმი
## [illegible] შოლია
(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (1742—თ.)

ექიმი
## ნ. ლ. ტერიაშვილი

იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (თ. 2539)

## ექიმი ა. დ. კეკელია

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

## ექიმი ლ. ა. სარალიძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლოს (2383—თ.)

ექიმი
## [illegible] შოლია
(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

## ექიმი მ. ა. შაფრანი

სპეციალურად სიფილისი და მისი ზედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქ. № 33. (1288 25—4)

## გამოვიდა

ყოველკვირეული, საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

## „სოფლის მუშა“

ორგანო საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა

## გაზეთი გამოვა ორშაბათობით

მასალები უნდა გამოიგზავნილ იქნეს გაზ. „ერთობის“ სახელზე—თფილისი, ერთობის ქუჩა 4, „სოფლის მუშასათვის“.

სარედაქციო კოლეგიაში შედიან: ემ. ლომთათიძე. ივ. გომართელი. სტ. ელიავა.